აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

დოქტორანტის გზამკვლევი

გზამკვლევი მიზნად ისახავს EEU-ს დოქტორანტების/დოქტორანტობის კანდიდატების ინფორმირებას დოქტორანტურაში მიღებისა და სწავლის, კვლევის, პროფესიული განვითარების, სტუდენტური მხარდამჭერი სერვისების, დისერტაციის დაცვისა და სხვა რჩევების შესახებ.

საკონტაქტო ინფორმაცია:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: info@eeu.edu.ge
ვებგვერდი: www.eeu.edu.ge
ტელეფონი: 032 2 48 01 41

სადისერტაციო საბჭო
(ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტი)
ელ-ფოსტა: t.lekishvili@eeu.edu.ge; ტელეფონი: (+995) 595 90 80 10

სადისერტაციო საბჭო
(იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი)
ელ-ფოსტა: z.matsaberidz@eeu.edu.ge; ტელეფონი: (+995) 599501244

სადისერტაციო საბჭო
(განათლების მეცნიერებების ფაკულტეტი)
ელ-ფოსტა: education@eeu.edu.ge; ტელეფონი: 032 2 48 01 41

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ადმინისტრაცია: https://eeu.edu.ge/portfolio/contact-faculty-2/

ბიზნესისა და ინჟინერიის
ფაკულტეტის ადმინისტრაცია: **https://eeu.edu.ge/portfolio/contact-faculty-business/**

განათლების მეცნიერებების
ფაკულტეტის ადმინისტრაცია: https://eeu.edu.ge/portfolio/contact-edu/

სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი
ელ-ფოსტა: g.tavadze@eeu.edu.ge
ვებგვერდი: https://eeu.edu.ge/portfolio/doctoral-research/
ტელეფონი: (+995) 599 418 938

განათლების დეპარტამენტი (ენების ცენტრი, უწყვეტი განათლება, სერვისები)
ელ-ფოსტა: education.departament@eeu.edu.ge
ტელეფონი: (+995) 598 56 12 46
ვებგვერდი: https://eeu.edu.ge/portfolio/edudep-aboutus/

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
ელ-ფოსტა: international@eeu.edu.ge
ვებგვერდი: https://eeu.edu.ge/portfolio/international2/

ომბუდსმენის ოფისი
ელ-ფოსტა: student.ombudsman@eeu.edu.ge
ვებგვერდი: https://eeu.edu.ge/portfolio/studenturi-ombudsmeni/

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტი:
ელ-ფოსტა: t.gherkenashvili@eeu.edu.ge
ტელეფონი: (+995) 598105729
ვებგვერდი: https://eeu.edu.ge/portfolio/about-research/

ბიბლიოთეკა
ელ-ფოსტა: EEU.Lib@eeu.edu.ge
ტელეფონი: (+995) 593 712 052
ვებგვერდი: https://eeu.edu.ge/ბიბლიოთეკა/EEULIB/

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამსახურების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხ. ბმულზე:
https://eeu.edu.ge/eeu/administration/

შინაარსი

წინასიტყვაობა

1. EEU-ს შესახებ ……6

- ისტორია და ჩვენი პრიორიტეტები ……7
- მისია, ხედვა და ღირებულებები……9
- სადოქტორო პროგრამები……10
- სასარგებლო რესურსები და ბმულები ..... ……13

2. დოქტორანტურაში მიღება და სწავლა ……14

- დოქტორანტურაში სწავლის უფლება ……15
- საორიენტაციო დღეები……16
- სასწავლო პროცესის ვადები, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია…….17
- სტუდენტის სტატუსი ……19
- სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემა: EEU-EL ……20
- დისტანციური სწავლა ……25
- შეფასების სისტემა ……26
- აპელაციის სისტემა ……27

3. სადოქტორო კვლევა……28

- აკადემიური კეთილსინდისიერება……29
- კვლევის ეთიკა……33
- საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზები ……35
- სამეცნიერო ხელმძღვანელი ……35
- პუბლიკაციის გამოქვეყნება და სამეცნიერო კონფერენციები……36
- დისერტაციის მომზადება და დაცვა ……38

4. დოქტორანტის პროფესიული განვითარება ……41

- სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი……42
- არაფორმალური განათლების სერვისი……43
- სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა……43
- კონსულტირების სერვისი ……44
- კარიერული განვითარება ……45
- ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა……46

5. **სხვა მხარდამჭერი სერვისები და რჩევები……..…….……....48**
- დოქტორანტის უფლება-მოვალეობები და მათი დაცვა...…..…….……..49
- ფინანსური მხარდაჭერა და სამეცნიერო გრანტები ……...……..53
- სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში……...…….……..53
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა……..…….....……..55
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა……..…….…….....……..55
- სამედიცინო მომსახურება……..….....……..56
- საბიბლიოთეკო რესურსები…..….....……..56

6. **სადოქტორო პროგრამის დასრულება ……...…….....58**
- კვალიფიკაციის მინიჭება……..……...……..……..59
- დიპლომის გაცემა…...…….……..……..……..59

დანართი 1 - კვლევის ეთიკისა და დისერტაციის დაცვისთვის სპეციალური ფორმები

რექტორის მისალმება

სტუდენტებო და მომავალო სტუდენტებო,

მოხარული ვარ მოგიწვიოთ და გიხილოთ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში!

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ***(EEU)*** *მიისწრაფვის დანერგოს განათლების საერთაშორისო სტანდარტები სწავლებასა და კვლევაში, შექმნას გამორჩეული საგანმანათლებლო ცენტრი საქართველოში.* ***EEU*** *ავტორიზებულია და საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სტანდარტების შესაბამისად. უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე და ხორციელდება 20 საგანმანათლებლო პროგრამა იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, ჯანდაცვის, განათლების მეცნიერებების, ბიზნესისა და ინჟინერიის ფაკულტეტებზე.*

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი გაძლევთ არაერთ შესაძლებლობას, მიიღოთ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში ევროპის ცნობილ უნივერსიტეტებში, მიიღოთ ორმაგი დიპლომები, დაეუფლოთ ცოდნას საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმატებულ და კვალიფიციურ პედაგოგებთან, მონაწილეობა მიიღოთ კვლევით და სტუდენტურ პროექტებში, მოიპოვოთ დაფინანსება და სასწავლო სტიპენდიები.

EEU*-ს პროგრამები აგებულია საერთაშორისო უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, გამოცდილებისა და თანამედროვე შრომითი ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. თქვენ მიიღებთ შესაძლებლობას აიმაღლოთ კვლევითი და პრაქტიკული უნარები, რომელიც იქნება თქვენი წარმატების საწინდარი და* ***EEU****-ს ექნება მნიშვნელოვანი როლი თქვენი კარიერული წინსვლის საქმეში.*

თქვენ გელით სრულიად ახალი საუნივერსიტეტო კამპუსი, აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით, სასწავლო აუდიტორიებითა და ელექტრონული სერვისებით, რეკრეაციული და სპორტული სივრცეებით, მოდერნიზებული ბიბლიოთეკითა და საუკეთესო ეკო-გარემოთი.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ***EEU****-ს საგანმანათლებლო პროგრამები და საუნივერსიტეტო სერვისები უზრუნველყოფს თქვენს მომავალ განვითარებას და* ***EEU****-ში გატარებული წლები თქვენთვის იქნება დაუვიწყარი და მრავლისმომცემი.*

ჩვენ გვჯერა, რომ თქვენ მიიღებთ ცოდნას, რომელსაც რეალურად გამოიყენებთ!!

საუკეთესო სურვილებით,

კახაბერ ლაზარაშვილი
რექტორი

EEU-ს შესახებ

- ისტორია და ჩვენი პრიორიტეტები
- მისია, ხედვა და ღირებულებები
- სადოქტორო პროგრამები
- სასარგებლო რესურსები და ბმულები

EEU-ს შესახებ

სახელწოდება: აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (East European University Ltd)
აკრონიმი: EEU
ტიპი: კერძო
დაარსდა: 14 ოქტმბერი, 2012 წელი
რექტორი: კახაბერ ლაზარაშვილი
დევიზი: მიიღე ცოდნა, რომელსაც რეალურად გამოიყენებ!
სტატუსი: ავტორიზებული
მისამართი:

- საქართველო, თბილისი, ტ. ფუტკარაძის ქ. 1 ;
- საქართველო, თბილისი, ი. ენუქიძის ქ. 6, დავით აღმაშენებლის ხეივანი

ვებგვერდი: http://eeu.edu.ge/en/

ელ-ფოსტა: info@eeu.edu.ge

ისტორია და ჩვენი პრიორიტეტები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი **(EEU)** არის კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დაფუძნდა 2012 წელს ორგანიზაციის წარმატებული მართვისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე, მოტივირებული და კომპეტენტური გუნდის მიერ. EEU-მ საქმიანობა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით 2013 წლის სექტემბრიდან სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსით დაიწყო. EEU-მ საქმიანობის წარმატებული დასაწყისიდან ორ წელიწადში ხელახალი ავტორიზაციის გზით მოიპოვა სადოქტორო პროგრამების განხორციელების უფლება და 2015 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს, როგორც **სამსაფეხურიანი უნივერსიტეტი.**
2017 წლიდან უნივერსიტეტში ამოქმედდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები საერთაშორისო სტუდენტებისთვის; ამჟამად ხორციელდება 6 ინგლისურენოვანი პროგრამა და უნივერსიტეტში სწავლობენ საერთაშორისო სტუდენტები მსოფლიოს 14 ქვეყნიდან.
EEU-მ 2021 წელს ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია. ამჟამად უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, მასწავლებლის მომზადებისა და ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და ინჟინერიის, განათლების მეცნიერებებისა და ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტებზე. **საგანმანათლებლო პროგრამი** შრომის ბაზრის მოთხოვნების, თანამედროვე ტენდენციებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით არის შექმნილი და ხორციელდება მაღალი კვალიფიკაციის მქონე, მოტივირებული ადგილობრი და საერთაშორისო აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ.

EEU–მ არსებობის მოკლე ისტორიის მიუხედავად შეძლო, მოეპოვებინა ნდობა ადგილობრივ და საერთაშირისო დონეზე, როგორც ხარისხზე ორიენტირებულ, თანამედროვე კორპორატიული სტილის მქონე ინსტიტუციას. უნივერსიტეტმა **სწრაფი და მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა** საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა მიმართულებებით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს პროგრესი ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, პარტნიორობა დაამყარა 40-მდე საერთაშორისო უნივერსიტეტთან და ორგანიზაციასთან, მათ შორის ბრიტანეთის, აშშ, გერმანიის, უნივერსიტეტებთან, მოპოვებული აქვს ERASMUS+-ის, აშშ საელჩოს და ბრიტანეთის საბჭოს გრანტები, განხორციელა 30-ზე მეტი საერთაშორისო პროექტი და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფონდებთან, არის 10-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, მათ შორის: ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაცია (EPLO), მსოფლიო განათლების მომსახურების ორგანიზაცია (WES, USA), დიდი ბრიტანეთის მკვლევართა პოტენციალის განმახორციელებელი პროგრამა (Vitae), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), ,,სმარტ'' უნივერსიტეტების ორგანიზაცია (S-U-F), ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ორგანიზაცია (EURAXESS), 2020 წლის ბოლოს გახდა **ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA)** ინდივიდუალური სრული წევრი, ხოლო 2021 წელს ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის **სადოქტორო განათლების საბჭოს (EUA-CDE)** წევრი გახდა.

EEU-ს ერთ-ერთ ძლიერ მხარედ ჩამოყალიბდა **სტუდენტთა მხარდამჭერი პოლიტიკა,** რომელიც ხორციელდება მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზებებითა (კარიერული განვითარების, ფინანსური და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის, სოციალური მხარდაჭერის, საკონსულტაციო მომსახურების, ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერის და ა.შ. სერვისები) და წარმატებით დანერგილი სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებით. უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს სოციალურ პოლიტიკას როგორც სოციალური აქტივობებისა და პროექტების განხორციელების კუთხით, ასევე კვლევების მიმართულებით.

სადოქტორო პროგრამების დამატების შემდგომ, EEU-ში განსაკუთრებით გააქტიურებულია საქმიანობა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით. აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სამეცნიერო უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტს აქვს რეფერირებადი ორენოვანი ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი, ახორციელებს სამეცნიერო კონფერენციებს, ვორკშოპებს, აფინანსებს ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი აქტივობებს, შიდა საგრანტო სამეცნიერო და სტუდენტურ პროექტებს. 2020 წელს სადოქტორო კვლევების მხარდაჭერის მიზნით შეიქმნა სპეციალური სტრუქტურული ერთეული **,,სადოქტორო კვლევების განვითრების ცენტრი“,** უნივერსიტეტს ჰყავს კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მუდმივმოქმედი კომიტეტები, ფუნქციონირებს კვლევითი-სასწავლო ლაბორატორიები.

EEU - ში წარმატებით არის დანერგილი ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანი სისტემა, რომელიც ეხმარება ინსტიტუციას საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის შენარჩუნებასა და განვითარებაში.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ისტორიას ქმნის კმაყოფილი სტუდენტი, კურსდამთავრებული, პერსონალი და პარტნიორი, რომელთა მოლოდინების გამართლებისთვის ჩვენ მუდმივად მივისწრაფით წარმატებისკენ!

მისია, ხედვა და ღირებულებები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მისია:

- *სწავლებისა და კვლევის განუყოფლობა, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ქართულ და მსოფლიოს კულტურულ ღირებულებებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.*
- *უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალის მხარდაჭერა აკადემიური და მორალური განვითარებისა და სამოქალაქო წარმატების მიღწევაში მაღალი ხარისხის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების უზრუნველსაყოფად.*
- *საკუთარი წვლილის შეტანა ქართული და საერთაშორისო საზოგადოების აკადემიური განათლებისა და ღირსების დამკვიდრებაში.*

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხედვა:

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი საერთაშორისო დონეზე აღიარებული იქნას, როგორც ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებული და უმაღლესი განათლების სფეროში ლიდერი დაწესებულება საქართველოში. უზრუნველყოს კვლევითი პოტენციალის განვითარება და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, განავითაროს სტუდენტებსა და პერსონალში დემოკრატიული პრინციპები და სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ღირებულებები:

- ერთიანობა, პატივისცემა, თანაგრძნობა, მხარდაჭერა, კეთილსინდისიერება, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლება, თანამშრომლობა და კეთილგანწყობა

სადოქტორო პროგრამები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი ახორციელებს სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი), განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამებს და მიმდინარე წელს იმატებს განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას:

პროგრამის დასახელება: სამართალი

პროგრამის ხელმძღვანელი: დავით ბოსტოღანაშვილი[1]

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის დოქტორი

პროგრამის ხანგრძლივობა: 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

სწავლის საფასური: 3500 ლარი (ყოველწლიურად)

მიღების წინაპირობა: სამართლის მაგისტრი, სპეციალობით მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება, ინგლისური ენა B2

პროგრამაზე მიღება ცხადდება: შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია სასწავლო კურსების, სადოქტორო სემინარებისა და პროფესორის ასისტენტობის სახით. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ

[1] https://eeu.edu.ge/davitbostoghanashvili/

დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტია სადისერტაციო ნაშრომი (დისერტაცია), რომლის შესრულება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენითა და დაცვით (პრეზენტაციით, სამეცნიერო დისკუსიით).

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ **იხ. ბმულზე:** https://eeu.edu.ge/portfolio/phdlaw/

პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

პროგრამის ხელმძღვანელები: შალვა მაჭავარიანი[2] ვასილ კიკუტაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პროგრამის ხანგრძლივობა: 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს.

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

სწავლის საფასური: 2500 ლარი (ყოველწლიურად)

მიღების წინაპირობა: ეკონომიკის ან ბიზნესის მიმართულებით მაგისტრი, ან ხარისხი ნებისმიერ სფეროში ბიზნესის მართვის გამოცდილებით; ინგლისური ენა B2

პროგრამაზე მიღება ცხადდება: შემოდგომის და/ან გაზაფხულის სემესტრებისათვის.

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ **იხ. ბმულზე:** https://eeu.edu.ge/portfolio/dba/

[2] https://eeu.edu.ge/shalvamachavariani/



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის **განათლების მეცნიერებების** პროგრამა საქართველოში პირველი ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამაა, რომელიც ხორციელდება **მიდლსექსის უნივერსიტეტის** (დიდი ბრიტანეთი) მხარდაჭერით.

პროგრამის ხელმძღვანელები:

- **პოლ გიბსი** – EEU-ს აფილირებული პროფესორი, სადოქტორო და უმაღლესი განათლების კვლევების განვითარების ცენტრის დირექტორი, მიდელსექსის უნივერსიტეტში განათლების კვლევებისა და სტიპენდიების ცენტრის დამაარსებელი, New College Oxford-ის უმაღლესი განათლების პოლიტიკის ცენტრის მკვლევარი, კემბრიჯის უნივერსიტეტის (UK) მოწვეული პროფესორი.
- **შალვა ტაბატაძე** – EEU-ს აფილირებული ასოცირებული პროფესორი, განათლების რეფორმებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საერთაშორისო და შედარებითი განათლების საერთაშორისო საზოგადოების (CIES) ჯილდოს მფლობელი, SCE HCNM, Council of Europe, CIPDD, UNAG – განათლების პოლიტიკის ექსპერტი, CCIIR-ის თავმჯდომარე,

პროგრამის ხანგრძლივობა: 3 წელი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერებების დოქტორი/Doctor of Education Sciences

პროგრამის სტატუსი: აკრედიტებული

სწავლის საფასური: 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში (ერთი წელი); საუნივერსიტეტო დაფინანსების გათვალისწინებით საქართველოს მოქალაქეებისთვის – 4000 ლარი (ერთი წელი);

სწავლების ენა: ინგლისური

დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ **იხ. ბმულზე:** https://eeu.edu.ge/portfolio/edu/

სასარგებლო რესურსები და ბმულები

იურიდიული ცნობარი

- *სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის დებულება*
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- *ეთიკის კოდექსი*
- *შინაგანაწესი*
- *„ნეტიკეტი"*
- *პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი*
- *გამოცდაზე ქცევის წესი*
- *ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი*
- *სტუდენტური პროექტებისა და აქტივობების დაფინანსების წესი*
- *სტიპენდიის გაცემისა და წახალისების წესი*
- *თვითმმართველობის დებულება*
- სტუდენტური კლუბის დებულება

კვლევის ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება

- აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი
- კვლევის ეთიკის სტანდარტი
- *„ნეტიკეტი"*
- ქცევის (ეთიკის) კოდექსი

გზამკვლევები და სხვა დამხმარე მასალები

- კვლევის მეთოდები
- დისტანციური სწავლების გზამკვლევი
- სამეცნიერო ჟურნალი
- კვლევითი ცენტრები
- კვლევის სიახლეები
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიში

დოქტორანტურაში მიღება და სწავლა

- დოქტორანტურაში სწავლის უფლება
- საორიენტაციო დღეები
- სასწავლო პროცესის ვადები, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია
- სტუდენტის სტატუსი
- სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემა: EEU-EL
- დისტანციური სწავლა
- შეფასების სისტემა
- აპელაციის სისტემა

დოქტორანტურაში სწავლის უფლება

დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობების დაცვით.

რა ნაბიჯებია საჭირო, რომ მოვიპოვო დოქტორანტურაში სწავლის უფლება?

ნაბიჯი 1	*ჩარიცხვისთვის რეგისტრაციის გავლა*
პროგრამაზე მიღების წინარპირობებისა და პროგრამის სტრუქტურის გაცნობა	https://eeu.edu.ge/სწავლა/სასწავლო-პროგრამები/სადოქტორო-სკოლა/
წარმოსადგენ დოკუმენტაციის ნუსხა და რეგისტრაცია	https://eeu.edu.ge/სწავლა/მიღება/დოქტორანტურა/
კონსულტაცია/საორიენტაციო დღე	კონსულტაციის ფორმატი: პირისპირ/დისტნაციურად; ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან შეხვედრა მიღების პროცედურების დაზუსტებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის, სავარაუდო სამეცნიერო ნშრომის თემის შერჩევის მიზნით
ნაბიჯი 2	*შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები*
ტესტირება ინგლისურ ენაში/საერთაშორისო სერტიფიკატი - B2/C1 დონე	დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისთვის საჭიროა ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა. ენის ცოდნის დონე განისაზღვრება პროგრამით; ინგლისური ენის გამოცდიდან გათავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დადასტურების საერთაშორისო სერტიფიკატს, ან თუ საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის - ტესტირების ვადები იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/სწავლა/მიღება/დოქტორანტურა/
საკონკურსო გასაუბრება	დოქტორანტობის კანდიდატისთვის სავალდებულოა ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისიის წინაშე გასაუბრების გავლა.

	გასაუბრების კრიტერიუმები და ვადები იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/სწავლა/მიღება/დოქტორანტურა/
ნაბიჯი 3	**საბოლოო შედეგების გამოცხადება და ჩარიცხვა**
გამოცდის/გასაუბრების შედეგების გამოქვეყნება და აპელაცია	გასაუბრებისა და ტესტირების შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე სიახლეებში (https://eeu.edu.ge/) კანდიდატს უფლება აქვს გაასაჩივროს უცხო ენაში მიღებული შედეგი. გასაჩივრების ვადები ასევე ქვეყნდება ვებგვერდზე;
საბოლოო შედეგების გამოქვეყნება და ხელშეკრულების გაფორმება	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ფაკულტეტის მიმღები დარგობრივი კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ჩარიცხვის კანდიდატთა საბოლოო სია და ხელშეკრულების გაფორმების ვადები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, დოქტორანტობის კანდიდატმა ხელი უნდა მოაწეროს ხელშეკრულებას და გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია (სწავლის საფასურის გადახდა)

საორიენტაციო დღეები

ფაკულტეტის ორგანიზებით სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვამდე ტარდება საორიენტაციო დღეები როგორც დისტანციურად, ასევე პირისპირ. საორიეტნაციო დღეების ფარგლებში, დოქტორანტების კანდიდატებს მიეწოდებათ ინფორმაცია დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპიროების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის და მიღების სხვა პირობების შესახებ; პროგრამის ხელმძღვანელთან იმართება საკონსულტაციო შეხვედრები სამეცნიერო ნაშრომისა და ხელმძღვანელის არჩევის მიზნით.
ინფორმაცია საორიენტაციო დღეების შესახებ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, სხიალეებში და უნივერსიტეტის ოფიციალურ სოციალურ ქსელში.

სასწავლო პროცესის ვადები, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია

ყოველი სასწავლო წლისთვის სასწავლო პროცესის ვადები (ინფორმაცია ყოველსემესტრულ რეგისტრაციაზე, სალექციო და საგამოცდო პერიოდზე, არდადეგებზე) ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: http://eeu.edu.g e/ სწავლა/აკადემიური -კალენ დარი/

- **სემესტრი**
  - თითოეული სემესტრის მოიცავს სააუდიტორიო მეცადინეობებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდებს;
  - შუალედური გამოცდები ინიშნება მე-8 და მე-9 კვირებში;
  - საგამოცდო სესიები იწყება სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების
  - შემდეგ და გრძელდება 3 კვირის განმავლობაში ძირითადი გამოცდები, 2
  - კვირის განმავლობაში – დამატებითი გამოცდები;
  - პროგრამის სპეციფიკისა და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, შესაძლოა რექტორის ბრძანებით განისაზღვროს ზამთრისა და ზაფხულის სემესტრების ვადები;
  - დოქტორანტმა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ექვსი აქტიური სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კრედიტების რაოდენობა და შეასრულოს კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.
  - დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვიდან ექვსი აქტიური სემესტრის გასვლის შემდეგ დოქტორანტის მომდევნო სემესტრში რეგისტრაციის წინაპირობაა სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რომელშიც უნდა დასაბუთდეს სწავლის/კვლევის გაგრძელების მიზანშეწონილობა
  - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი ვალდებულია დაასრულოს დოქტორანტურაში სწავლის/კვლევის პროცესი, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, **მაგრამ არა უმეტეს 4 სასწავლო სემესტრისა.**
- **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** - გულისხმობს სტუდენტის მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდას;

- სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით სტუდენტმა ყოველ სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებამდე, დადგენილ ვადაში (იხ. ბმულზე: http://eeu.edu.g e/ სწავლა/აკადემიური -კალენდარი/ უნდა გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია;
- სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადახდა შესაძლებელია TBC, ,,პროკრედიტ ბანკის". „საქართველოს ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, ასევე ფეიბოქსის აპარატებიდან (NOVA, TBC PAY); გადახდის დროს სწორად უნდა მიეთითოს სტუდენტის სახელი, გვარი და პირადი ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ მოხდება გადახდის იდენტიფიცირება;

- თუ სტუდენტს სრულად აქვს სწავლის საფასური გადახდილი, თუმცა არ გაიარა აკადემიური რეგისტრაცია, უფლება აქვს მოითხოვოს უნივერსიტეტის სასარგებლოდ გადახდილი თანხის მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურში ჩათვლა, რისთვისაც უნივერსიტეტის რექტორის სახელზე უნდა დაწეროს განცხადება კანცელარიაში.

ინფორმაცია სტუდენტის მიერ გადახდილი სწავლის საფასურის შესახებ: ფინანსური ინფორმაციის (სწავლის სემესტრული საფასური, გრანტის ოდენობა, გადასახდელი თანხის ოდენობა, გადახდის გრაფიკი) ნახვა სტუდენტს შეუძლია პირად სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში _ EEU-EL, მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) ღილაკის ,,ფინანსები'' მონიშნვნით

- **აკადემიური რეგისტრაცია**
- სასწავლო პროცესში მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით სტუდენტმა ადმინისტრაციული რეგისტრაციის შემდეგ, დადგენილ ვადაში უნდა გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
- აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს მიმდინარე სემესტრში შეთავაზებულ სასწავლო კურსებზე (საგნებზე) დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემაში (EEU-EL) სტუდენტის ან ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ;

სტუდენტის სტატუსი

სტატუსის აღდგენა

სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში.

- სტუდენტი უფლებამოსილია პირადი განცხადებით აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი (გარდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერებისა, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი რომელიც არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ე. ი. არ გადაიხდის სწავლის დადგენილ საფასურს უჩერდება სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტის მიერ, ხოლო აღნიშნული ფინანსური დავალიანების დაფარვის შემთხვევაში უნივერსიტეტი სტატუსს აღუდგენს სტუდენტს მისი პირადი განცხადების გარეშე (სტატუსის აღდგენის ნების გამოვლენად მიიჩნევა მისი მიერ დადგენილი სწავლის საფასურის უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა).

სტატუსის შეჩერება

სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობისგან დროებით განთავისუფლება და უნივერსიტეტისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების მოქმედების შეჩერება სტატუსის შეწყვეტის გარეშე

- **შეჩერების საფუძვლებია:**
- პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
- ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის დადგენილ ვადაში გაუვლელობა;
- უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლისა);
- ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
- სტატუსის შეჩერების მოთხოვნით სტუდენტმა, განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 4 (ოთხი) კვირის განმავლობაში

სტატუსის შეწყვეტა

საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე შეწყვეტა,

- **სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:** ა) პირადი განცხადება; ბ) ჯამში 5 წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა; გ) დაწესებულებისთვის ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა, რომელმაც გავლენა იქონია ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე; დ) ქცევის (ეთიკის) კოდექსით დადგენილი უხეში დარღვევა, რაც დასტურდება ამავე კოდექსით დადგენილი დისციპლინური/ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით; ე) სწავლების ხანგრძლივობის დამატებითი ვადის გასვლა პროგრამის დასრულების გარეშე – აკადემიური ჩამორჩენა; ვ) მობილობის წესით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა; ზ) გარდაცვალება ან კანონმდებლობით დადგენილი წესით გარდაცვლილად გამოცხადება; თ) აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატის, მონაცემების გაყალბების და სხვა) დადასტურების შემთხვევაში და სხვა შემთხვევები

სასწავლო პროცესის მართვის ელ-სისტემა: EEU-EL

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - EEU-EL შექმნილია სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისა და სტუდენტთა ინფორმირების ხელშეწყობის მიზნით.

EEU-EL აერთიანებს შემდეგ სერვისებს:

- **საინფორმაციო დაფა** - გზამკვლევები, სიახლეები, ანონსები, ტრენინგები/კონფერენციები;
- **სემესტრული ანგარიშები** - მოიცავს სტატისტიკურ მონაცემების დიაგრამების სახით გამოსახვას. მაგალითად, შესრულებული კრედიტები, სემესტრული GPA, სტუდენტთა აკადემიური მოსწრება და ა.შ.
- **ანკეტური მონაცემები** - სტუდენტების პირადი საქმეები ელექტრონულად, ბრძანებები, საკონტაქტო ინფორმაცია, განათლება/აქტივობები, CV-ის ბეჭდვა და ა.შ.
- **აკადემიური რეგისტრაციის გავლა** - სასწავლო კურსების არჩევა სტუდენტის მიერ;
- **შეფასებები** - საგნების მიხედვით შეფასების კომპონენტები, შეფასების ჟურნალი, მიღებული შეფასებების აპელაცია/ნაშრომის ნახვა, საბეჭდი ფორმები - ნიშნების ფურცელი
- **ცხრილი** - სასწავლო და საგამოცდო ცხრილი, კალენდარი (ღონისძიებები)
- **სასწავლო პროგრამა** - სილაბუსები, სასწავლო გეგმა (სტუდენტს შეუძლია ნახოს ინდივიდუალური გეგმა შესრულებული/შეუსრულებელი კურსების შესახებ და ა.შ.)
- **საფინანსო სერვისი** - გრანტები, ტრანზაქციები, სწავლის საფასურის გადახდის ინდივიდუალური გრაფიკის დისტანციურად გაფორმება და ა.შ)
- **გამოკითხვები** - გამოკითხვის კითხვარების ელექტრონულად შევსება
- **ბიბლიოთეკის სერვისი** - ელექტრონული სასწავლო მასალების ბაზაში ატვირთვა და წიგნების გამოწერა;
- **საკომუნიკაციო სერვისი ელექტრონულად** (სხვადასხვა სახის პირადი შეტყობინებების, დოკუმენტების მიღება და გაგზავნა)

ასევე, პაროლის შეცვლის, პროფილის გადართვის და სხვა ფუნქციები.

როგორ ვისარგებლო EEU-EL-ით?

ნაბიჯი 1: EEU-EL-ის მისამართზე გადასვლა:
https://stud.eeu-el.ge/login



ნაბიჯი 2: ავტორიზაციის გავლა:
ა) პირველ ველში შეიყვანეთ თქვენი მომხმარებელი, გადმოგეცათ ადმინისტრაციისგან საკონსულტაციო შეხვედრაზე
ბ) მეორე ველში შეიყვანეთ ერთჯერადი პაროლი, გადმოგეცათ ადმინისტრაციისგან საკონსულტაციო შეხვედრაზე
გ) მესამე ველში შეიყვანეთ პაროლი, რომელიც გადმოგეცათ ადმინისტრაციისგან საკონსულტაციო შეხვედრაზე
დ) მონიშნეთ ღილაკი ,,შესვლა''

P.S. თუ თქვენ დაგავიწყდათ პაროლი შეგიძლით აღადგინოთ ლილაკის მონიშვნით ,,პაროლის აღდგენა

ნაბიჯი 3: მთავარი გვერდი
მთავარ გვერდზე თქვენ შეგიძლიათ ნახოთ საინფორმაციო დაფა. საინფორმაციო დაფა მოიცავს სიახლეების, ანონსების, ტრენინგების/კონფერენციების, გზამკვლევების, სემესტრული ანგარიშების ველებს.



ნაბიჯი 4: EEU-EL-ში თქვენი პროფილის მართვა

თქვენი პირადი ინფორმაციის შევსება/განახლება შესაძლებელია მთავარი მენიუდან „პროფილი". აქ შეგიძლიათ განაახლოთ თქვენი პირადი და საკონტაქტო ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ საკონტაქტო ინფორმაცია სტუდენტის მიერ სწორად შეივსოს, რადგან უნივერსიტეტი ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით აგზავნის შეტყობინებებს. სტუდენტის ანკეტის გვერდზე მოცემული პირადი ინფორმაციიდან: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღის ველები შევსებულია და მათი ცვლილება შეუძლებელია. შეგიძლიათ შეიყვანოთ ინფორმაცია თქვენი აქტივობების, ატვირთოთ დოკუმენტები, და დაბეჭდოთ თქვენი CV



ნაბიჯი 5: პაროლის შეცვლა

ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული პაროლის შესაცვლელად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) მონიშნეთ სიმბოლო V და შემდეგ ,,პაროლის შეცვლა''. თუ თქვენ სწავლობდით EEU-ში სხვა საფეხურზე/პროგრამაზეც შეგიძლიათ მონიშნოთ ღილაკი ,,პროფილის გადართვა'' და დაათვალიეროთ თქვენი დანარჩენი პროფილებიც. სისტემიდან გამოსასვლელად კი მონიშნოთ ,,გამოსვლა''



ნაბიჯი 6: სასწავლო ბარათი და შეფასებების ჟურნალი

შეფასებების სანახავად მთავრ მენიუში მონიშნეთ ღილაკი ,,სასწავლო ბარათი''. დეტალური ყოველკვირეული შეფასებების სანახავად კი საგნის გასწვრივ მონიშნეთ ჟურნალის სიმბოლო.





ნაბიჯი 7: საგნებზე რეგისტრაცია, სასწავლო მასალა და სილაბუსი

კურსის სასწავლო მასალის ან სილაბუსის სანახავად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) შეარჩიეთ ღილაკი ,, საგნების არჩევა'' , შემდეგ მონიშნეთ ღილაკი ,,არჩეული სასწავლო კურსები'' და შესაბამისად საგნის გასწვრივ ჩამოტვირთეთ თქვენთვის სასრუველი კურსის სილაბუსი და სასწავლო მასალა.

ამავე გვერდზე თქვენ შეგიძლიათ მარჯვენა მენიუდან შეარჩიოთ ,,ასარჩევი სასწავლო კურსები'' გაეცნოთ მიმდინარე სემესტრში ასარჩევად გააქტიურებულ სასწავლო კურსებს, გაეცნოთ კურსის დეტალებს და შემდეგ აარჩიოთ თქვენთვის სასურველი კურსი ან აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში გაუქმოთ კურსზე რეგისტრაცია.



ნაბიჯი 8: ცხრილი

სასწავლო ცხრილის (ლექცია–სემინარების დღე/დაწყება–დასრულების საათი/აუდიტორია) სანახავად მთავარ გვერდზე (ძირითად პანელზე) მონიშნეთ ღილაკი ,,ცხრილი''. ამავე გვერდზე თქვენ შეგიძლიათ ნახოთ MS Teams-ში ლექციაზე/სემინარზე დასწრების ბმული, საგამოცდო ცხრილი, დაგეგმილი ღონისძიებების კალენდარი



ნაბიჯი 9: **კორესპონდენცია**

კორესპონდენციიდან თქვენ შეგიძლიათ გააგზავნოთ შეტყობინებები ადმინისტრაციასთან, პედაგოგთან. გასცეთ პასუხი მიღებულ წერილებს და ა.შ.



დეტალური ინსტრუქცია სხვა სერვისების (საფინანსო, საგამოცდო, შეფასებები და ა.შ.) შესახებ წარმოდგენილია გზამკვლევის სხვადასხვა შესაბამის თავში.

EEU-EL-თან დაკავშირებით ტექნიკური პრობლემის ან დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით განათლების დეპარტამენტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება)

დისტანციური სწავლა

COVID 19 პანდემიის პირობებში დისტანციური სწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე მიმართული სერვისები: EEU–ში დისტანციური სწავლება ხორციელდება Microsoft Teams-ის გაძლიერებული პლატფორმისა და განახლებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პლატფორმის (EEU-EL) გამოყენებით. უნივერსიტეტი Microsoft-ის ოფიციალური პარტნიორია, ფლობს Microsoft Global Training და Microsoft Gold Partner სტატუსებს და დისტანციური სწავლების პროგრამას Office 365 A1 ლიცენზირების ფარგლებში ახორციელებს. უნივერსიტეტში შექმნილია ელექტრონული სწავლების განვითარებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სტუდენტებისა და პერსონალისთვის შეიმუშავებს შესაბამის ინსტრუქციებს (სახელმძღვანელოები, ვიდეო-გზამკვლევები), ატარებს ტრენინგებს და კონსულტაციებს, ზრუნავს ელექტრონული სწავლების რესურსების დანერგვა/გაუმჯობესებაზე და ელექტრონული სწავლების მხარდამჭერი სერვისების განვითარებაზე. [ინსტრუქციები იხ. ბმულზე:]

შეფასების სისტემა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის **სასწავლო კომპონენტში** სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შეფასების სისტემა

ხუთი სახის დადებითი შეფასება

(A) ფრიადი – 91 – 100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C)კარგი –71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61–70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება

(FX) ვერ ჩაბარა – 41-50 ქულარაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დისერტაცია ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუშაობას. ამასთან, დისერტაცია ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. დისერტაციის დაცვა წარმოებს სადისერტაციო კომისიის სხდომაზე საჯაროდ. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული.

დისერტაციის შეფასების სისტემა

ხუთი სახის დადებითი შეფასება

ფრიადი (summa cum laude)- 91-100

ძალიან კარგი (magna cum laude) - 81-90

კარგი (cum laude) - 71-80

საშუალო (bene) - 61-70

დამაკმაყოფილებელი (rite) - 60-51

ორი სახის უარყოფითი შეფასება

არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - 41-50

სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - 40 და ნაკლები

აპელაციის სისტემა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს აქვს აკადემიურ და ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებით გასაჩივრების სისტემა. კერძოდ, ნებისმიერი დარღვევის ფაქტზე სტუდენტს შეუძლია, წარადგინოს წერილობითი განცხადება/საჩივარი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აპელაციის ავტორმა დაასაბუთოს საკუთარი საჩივარი.

აპელაციის ავტორს უფლება აქვს, მიიღოს სრული ინფორმაცია წარმოების დაწყებისა და საკითხის განხილვის პროცესის მიმდინარეობის შესახებ, დაესწროს საკითხის განხილვას, ისარგებლოს დაცვის უფლებით, წარადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, ასევე წარმოების განმახორციელებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება (ეთიკის კომიტეტი/აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისია/დისციპლინური კომისია) გაასაჩივროს წარმომადგენლობით/ფაკულტეტის საბჭოში.

,,გამოცდების ჩატარების წესით'' დარეგულირებულია **საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრების** პროცედურები, ასევე სადოქტორო სემინარისა და პრაქტიკული კომპონენტის გასაჩივრების პროცედურები. სტუდენტი უფლებამოსილია, გაეცნოს შუალედურ/დასკვნით/დამატებით საგამოცდო ნაშრომს და საჭიროების შემთხვევაში გაასაჩივროს მიღებული შეფასება. საგამოცდო ნაშრომი აპელაციისთვის გადაეცემა პედაგოგს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება აპელაციის შედეგს, ფაკულტეტის დეკანი ქმნის შესაბამის სააპელაციო კომისიას.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (EEU-EL) მეშვეობით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გაგზავნონ განაცხადი **მიღებული შეფასების აპელაციის** მიზნით; აპელაციის ვადები და სხვა პროცედურები დეტალურადაა წარმოდგენილი **,,გამოცდის ჩატარების წესში".**

დოქტორანტს შეუძლია გაასაჩივროს სადისერტაციო **ნაშრომის დაცვის შედეგები.** კერძოდ, თუ დოქტორანტი არ ეთანხმება სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის საბოლოო შეფასებას ან მიიჩნევს, რომ დარღვეულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვის რეგლამენტის პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, შეფასების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში, წერილობით მიმართოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს და გაასაჩივროს სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.დოქტორანტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული.

აპელაციის პროცედურებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხ. ,,დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში'',

სადოქტორო კვლევა

- აკადემიური კეთილსინდისიერება
- კვლევის ეთიკა
- საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზები
- სამეცნიერო ხელმძღვანელი
- პუბლიკაციის გამოქვეყნება და სამეცნიერო კონფერენციები
- დისერტაციის მომზადება და დაცვა

აკადემიური კეთილსინდისიერება

უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისო სტანდარტებს და საკუთარი მისიის შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის გაცნობიერებასა და დამკვიდრებას.

აკადემიური კეთილსინდისიერება გულისხმობს პირის ქმედებას პატიოსნების, ნდობის, სამართლიანობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ღირებულებათა შეგნებით და იმ რწმენით, რომ ეს ქმედება ყველაზე ხელსაყრელია აკადემიური სივრცისა და მიზნებისთვის. უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევა დაუშვებელია.

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეები

სამეცნიერო შედეგების განადგურება,	კომპილაცია	ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია	პლაგიატი
საკუთარი ან სხვის მიერ მიღებული მონაცემების ან ჩანაწერების განადგურებას დამფინანსებლის ხელშეკრულების, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, შიგა რეგულაციების და პროფესიული ან დისციპლინური სტანდარტების დარღვევის გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.	საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით;	ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებების ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას;	გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენა და გამოყენება, ავტორის შესაბამისი მითითებისა და საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის გარეშე



აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის მექანიზმი

საუნივერსიტეტო სივრცეში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის პრევენციის მიზნით, სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი სასწავლო (კვლევითი პროექტი, ანალიტიკური რეფერატი, კვლევითი სტატია, სადოქტორო სემინარი და სხვა) ან სამეცნიერო-კვლევითი (სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, სადისერტაციო ნაშრომი, პუბლიკაცია და სხვა) პროდუქტი ექვემდებარება სავალდებულო შემოწმებას პლაგიატის აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით (turnitin).

Turnitin ანტიპლაგიატის პროგრამაში ნაშრომის გადამოწმება შეუძლია თავად დოქტორანტს ან შეუძლია მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას. სტუდენტის მიერ წარდგენილ სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტში შემდგომში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია. პლაგიატის აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის მიერ სასწავლო კომპონენტში ტექსტური თანხვედრის დაფიქსირების შემთხვევაში, სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელი ან სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური/მოწვეული პერსონალი ახდენს

შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის ან არარსებობის შესახებ.

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევაში იქმნება **აკადემიური კეთლსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისია,** რომელიც შეისწავლის საკითხს. თუ სტუდენტი არ ეთანხმება კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში წერილობით მიმართოს ფაკულტეტის დეკანს და გაასაჩივროს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება; საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული და მას განიხილავს ფაკულტეტის საბჭო.

აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები:

- გაფრთხილება;
- იმავე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის კორექტირება;
- იმავე სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის გადამუშავება;
- იმავე სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის წარდგენის უფლების ჩამორთმევა;
- სტუდენტის სტატუსის ერთი სემესტრით შეჩერება;
- სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ „აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსში" და „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში"

სადისერტაციო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენა


სადისერტაციო ნაშრომისდ დოქტორანტის მიერ შემოწმება Turnitin-ში
სადისერტაციო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიის ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის წარდგენა, რასაც უნდა ერთვოდეს განცხადება იმის თაობაზე, რომ წარდგენილი ნაშრომი არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს, დაცულია აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმები
ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შემოწმება Turnitin-ში
დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეფასება ნაშრომის მიღებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში და დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ
აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელძღვანელის წერილობითი დასკვნის საფუძველზე, განსაზღვრავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის შემადგენლობას და დოქტორანტის აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხის განხილვის თარიღს.
აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის დამდგენი კომისიის მიერ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილება
გადაწყვეტილების გასაჩივრება და ფაკულტეტის საბჭოს მიერ განხილვა, სანქციის დაკისრება/არდაკისრება

კვლევის ეთიკა

უნივერსიტეტი, საკუთარი მისიის შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში კვლევის ეთიკის პრინციპის გაცნობიერებასა და სათანადო ეთიკური ქცევის წესის დამკვიდრებას. უნივერსიტეტი აღიარებს და იცავს კვლევის ეთიკის საერთაშორისო სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, დოქტორანტი კარგად იცნობდეს და იცავდეს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ **„კვლევის ეთიკის სტანდარტს"**.

მორალური წესების და პროფესიული კოდების ერთობლიობა, რომლითაც მკვლევარები ხელმძღვანელობენ სოციოლოგიურ კვლევაში და რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონფიდენციალობის დაცვაზე ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, წარდგენის და პუბლიკაციის პროცესში. ამას თან ახლავს კვლევის ობიექტის უფლება უარი თქვას მონაცემების მიწოდებასა თუ პირადი აზრის გამოთქმაზე

აკადემიური თავისუფლების პრინციპის შესაბამისად, დოქტორანტებს უფლება აქვთ უნივერსიტეტის სახელით ან/და მის ფარგლებში, დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თავისუფლად, ყოველგვარი ზეწოლის, უსაფუძვლო ჩარევისა და შეზღუდვის გარეშე, გამოიკვლიონ სამეცნიერო ან/და ინტელექტუალური თვალსაზრისით საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხები, წარმოადგინონ კვლევის შედეგები, გამოაქვეყნონ მონაცემები და დასკვნები ყოველგვარი კონტროლისა და ცენზურის გარეშე.

რა არის კვლევის ეთიკის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები?

- კეთილსინდისიერება
- ობიექტურობა (ინტერსუბიექტურობა)
- მნიშვნელოვნება
- ორიგინალურობა
- აზრობრივი და ენობრივ სიცხადე
- ვალიდურობა
- გადამოწმებადობა/ გამჭვირვალობა

როგორ და რა შემთხვევაში მივმართავ კვლევის უნივერსიტეტის ეთიკის კომიტეტს?

კვლევის ეთიკის კომიტეტის დანიშნულებაა ადამიანების მონაწილეობით ჩატარებული კვლევის პროექტის განხილვა კვლევის მონაწილეთა ღირსების, ფუნდამენტური უფლებების, უსაფრთხოების და კეთილდღეობის პატივისცემისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. კვლევის ეთიკის კომიტეტს გააჩნია განსაკუთრებული როლი სოციალური კვლევის პროექტის დამტკიცებაში, მიმდინარეობაში, კვლევის შედეგების შეფასებასა და გამოქვეყნებაში. შესაბამისად, კვლევის ეთიკის კომიტეტის ზოგადი და პრაქტიკული პასუხისმგებლობა ვრცელდება სოციალური კვლევის სრულ სპექტრზე.

- მკვლევარმა კვლევის ეთიკის კომიტეტს **განაცხადი** უნდა წარუდგინოს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (იხ. განცხადები ფორმა წინამდებარე გზამკვლევის დანართში 1)
- მკვლევარმა კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა წარუდგინოს ანგარიში კვლევის მიმდინარეობის შესახებ;
- მკვლევრებმა კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა აცნობონ კვლევის გეგმაში შესატანი ნებისმიერი ცვლილების, აგრეთვე, კვლევის ვადაზე ადრე შეწყვეტისა და მისი მიზეზების შესახებ. კვლევის ეთიკის კომიტეტს უნდა ეცნობოს კვლევის დაგეგმილ ვადაში დასრულების თაობაზეც

რა უნდა ვიცოდე ინფომირებული თანხმობის შესახებ?

- კვლევის ეთიკის ქვაკუთხედს კვლევის მონაწილეთა მხრიდან ინფორმირებული თანხმობის მოპოვება წარმოადგენს. ნებაყოფლობითი თანხმობა კვლევაში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა. კვლევა არ შეიძლება ჩატარდეს პოტენციური კვლევის მონაწილეების თანხმობის გარეშე. ამასთან, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუცილებელია კვლევაში მონაწილე პირის კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის ნებართვა.
- კვლევის მონაწილეების მიერ თანხმობა გაიცემა წერილობითი ფორმით. გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც წერილობითი თანხმობის მიღება შეუძლებელია, დასაშვებია

ზეპირი თანხმობა, თუ ის სათანადოდ არის დოკუმენტირებული და დამოწმებული დამოუკიდებელი მესამე პირის მიერ.

- **ინფორმირებული თანხმობის ფორმა იხ. გზამკვლევის დანართში 1**

დეტალური ინფორმაცია კვლევის ეთიკის სტანდარტების, სახელმძღვანელო პრინციპების, კრიტერიუმების, კვლევის პროექტის შეფასების, კვლევის ეთიკის კომიტეტის შესახებ იხილეთ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ **„კვლევის ეთიკის სტანდარტში"**

საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები

დოქტორანტებისათვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები ელექტრონული და მატერიალური ფორმით, საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზები: https://eeu.edu.ge/ბიბლიოთეკა/საერთაშორისო-სამეცნიერო/

საერთაშორისო ბაზებზე წვდომა დასაშვებია როგორც ლოკაურად, ასევე უნივერსიტეტის გარე სივრციდან.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.

სამეცნიერო ხელმძღვანელი

დოქტორანტს შეიძლება ჰყავდე ერთი ან ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტურაში თქვენი ჩარიცხვიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნა. სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს როგორც ფაკულტეტის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი ან ასისტენტ-პროფესორი, ასევე მოწვეული პირი, რომელსაც ექნება დოქტორის აკადემიური ხარისხი, დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო დარგში (სპეციალობაში, მიმართულებაში) კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში.

გირჩევთ, გაეცნოთ თქვენი სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია:

- გაათვითცნობიეროს დოქტორანტი კვლევითი, ზეპირი და წერითი უნარების განვითარების მნიშვნელოვანი როლის შესახებ მომავალ სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობაში;
- მიაწოდოს დოქტორანტს დეტალური ინფორმაცია კვლევითი კომპონენტის შესრულების დადგენილი ვადების შესახებ;
- კონსულტანციისათვის განკუთვნილ დროს უზრუნველყოს დოქტორანტის კონსულტირება, მისცეს მითითებები და რეკომენდაციები კვლევის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე და მოსთხოვოს მას ჩანაწერების წარმოება მიღწეული შეთანხმებების თაობაზე;
- რეგულარული მონიტორინგი და კონტროლი გაუწიოს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებას;
- მოსთხოვოს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის პროექტი/წინასწარი ვერსია, ასევე, კვლევის ფარგლებში შესრულებული სხვა სახის სამუშაო და გონივრულ ვადებში მიაწოდოს მას ინფორმაცია შესრულებულ კვლევასთან დაკავშირებული კრიტიკული შენიშვნების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე ნაშრომის ტექნიკურ სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ;
- მიაწოდოს კვლევითი კომპონენტის განმახორციელებელ დოქტორანტს სრული ინფორმაცია სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, სადისერტაციო ნაშრომისა და სადისერტაციო ნაშრომის მაცნეს ტექნიკური მონაცემების, მათ შორის მათი მოცულობის, ფორმატის, სტილის და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესახებ;
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ყოველსემესტრულად წარუდგინოს წერილობითი ანგარიში დოქტორანტის კვლევითი საქმიანობის შესახებ.

დოქტორანტის/სამეცნიერო ხელმძღვანელის დასაბუთებული მოთხოვნითა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიცვალოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

პუბლიკაციის გამოქვეყნება და სამეცნიერო კონფერენციები

- დოქტორანტს დისერტაციის დაცვამდე მოეთხოვება სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, **პუბლიკაციების** გამოქვეყნება.
- დოქტორანტმა სამეცნიერო პუბლიკაციებიდან ორი უნდა გამოაქვეყნოს რეფერირებად (Peer-reviewed) საერთაშორისო ჟურნალებში (ან საკონფერენციო მასალებში), რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო (ან სამეცნიერო კომიტეტი) და რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის. ამავდროულად, ამ ორი პუბლიკაციიდან ერთი მაინც უნდა იყოს გამოქვეყნებული ისეთ საერთაშორისო ჟურნალში (ან

საკონფერენციო მასალებში), რომელიც ინდექსირებულია Scopus-ის, Web of Science-ის ან ERIH PLUS-ის ბაზებში.

- დოქტორანტის მესამე პუბლიკაცია შეიძლება იყოს სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალში, რომელსაც აქვს ISSN კოდი, კრებულში (ან საკონფერენციო მასალებში), რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი ან მონოგრაფია, რომელსაც ჰყავს სფეროს კომპეტენტური რედაქტორი და რეცენზენტი (რეცენზენტები) და აქვს ISBN კოდი.
- აღნიშნული პუბლიკაციები არ უნდა იყოს დოქტორანტის მიერ თანაავტორობით შესრულებული ნაშრომი. პუბლიკაციებიდან ერთ-ერთი შეიძლება არ იყოს დასტამბული, მაგრამ მიღებული იყოს გამოსაქვეყნებლად.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სამეცნიერო შრომების კრებული" არის ორ ენოვანი რეფერირებადი სამეცნიერო პუბლიკაცია, რომლის მიზანია ცოდნის გაზიარება, სიახლის შექმნა, მეცნიერების განვითარება და სხვადასხვა დარგებში განხორციელებული უახლესი კვლევების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ჟურნალი შესაძლებლობას აძლევს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პერსონალს, ახალგაზრდა მკვლევარებსა და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სხვადასხვა ფაკულტეტების სტუდენტებს გამოაქვეყნონ პრაქტიკული ღირებულიების მქონე სტატიები.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტებს შეუძლიათ ჟურნალში პუბლიკაციების გამოქვეყნება საუნივერსიტეტო დაფინანსებით.

დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე: https://journals.eeu.edu.ge/index.php/collection-of-scientific-papers/index

უნივერსიტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება საერთაშორისო და ადგილობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციები.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე სამი თვით ადრე ქვეყნდება ინფორმაცია კონფერენციის ჩატარებისა და შინაარსის შესახებ:

- კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი;
- აპლიკაციის ფორმა და შევსების ვადა;
- წარმოსადგენი ნაშრომის მოცულობა და ფორმატი;
- ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები;

სტუდენტმა ნაშრომი უნდა წარმოადგონოს APA – ს (ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია) აკადემიური ტექსტების წერისა და ფორმატირების სტილის მიხედვით;

სტუდენტთა მიერ წარმოდგენილ ნაშრომებს შეარჩევს შესაბამისი კომისია;

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომები/მოხსენებები დაიბეჭდება უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულში/კონფერენციის მასალებში/გამოიცემა კრებულად;

სარეკომენდაციო სია ჟურნალების ჩამონათვალისა, სადაც შეუძლია დოქტორანტს გამოაქვეყნოს ნაშრომი და სხვა რჩევები იხ. ბმულზე: https://eeu.edu.ge/portfolio/research-news/

დისერტაციის მომზადება და დაცვა

დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს თქვენი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და ქმნიდეს ახალ ცოდნას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს სამეცნიერო დარგის განვითარებაში. ჩარიცხვიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მტკიცდება თქვენი სადისერტაციო სათაური, რომელიც შეიძლება დაზუსტდეს შემდგომ დოქტორანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნისა და ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მასე შემდეგ რაც, დაასრულებთ დისერტაციაზე მუშაობას, მოემზადეთ ნაშრომის წარდგენის პროცედურებისთვის (წარმოსადგენი დოკუმენტის ფორმები იხილეთ გზამკვლევის დანართში 1):

- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგინეთ სადისერტაციო ნაშრომის 5 აკინძული ბეჭდური ეგზემპლარი და მის ელექტრონულ ვერსია (PDF ფორმატში) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად.
- გაითვალისწინეთ, რომ ნაშრომის წარდგენის უფლება გაქვთ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ სტუდენტის აქტიური სტატუსი
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წარუდგინეთ **განცხადება** დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ, ასევე განაცხადი იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი თქვენი დამოუკიდებელი კვლევის შედეგია, ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული და იგი არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს; შესრულებული **სამუშაოს შემაჯამებელი ანგარიში;**
- თქვენ ასევე მოგიწევთ შეადგინოთ სადისერტაციო **ნაშრომის შემოკლებული ვერსია (მაცნე), რომელიც** შედგენილი უნდა იყოს ისე, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს სადისერტაციო ნაშრომის ძირითად შედეგების გაცნობა. სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ორ ნაბეჭდ თაბახს (32

გვერდს). მაცნე უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე

- დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის საჯარო განხილვაზე დაშვების თაობაზე
- ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაცემული ცნობა დოქტორანტის მიერ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების თაობაზე;
- ფაკულტეტის მიერ გაცემული ცნობა სასწავლო კომპონენტის შესრულების, დაგროვილი კრედიტებისა და სემესტრების სრულად გავლის თაობაზე;
- თქვენი ავტორობით სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი და/ან რედაქტორის (რედკოლეგიის) მიერ გაცემული ცნობა გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო ნაშრომის შესახებ და ნაშრომის ბეჭდური ვერსია.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ თავისუფლდებით სემესტრული რეგისტრაციისგან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის მომენტიდან.

სადისერტაციო ნაშრომის რეცენზირება

დისერტაციის წარდგენის მტკიცდება თქვენი ნაშრომის ორი რეცენზენტი, რომელიც აფასებს თქვენს ნაშრომს შემდეგი კრიტერიუმებით:

- სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა;
- სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება;
- კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა;
- ინფორმაცია პლაგიატის/გაყალბებული მონაცემების თაობაზე.

შესაბამისი არგუმენტაციის საფუძველზე რეცენზენტი გასცემს ერთ-ერთ შემდეგ რეკომენდაციას:

ა. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შესახებ;
ბ. დისერტაციის დაცვაზე არდაშვების შესახებ.

გაითვალისწინეთ, რომ ერთ-ერთი რეცენზენტის მიერ უარყოფითი დასკვნის წარდგენის შემთხვევაში ინიშნება მესამე რეცენზენტი. ორი რეცენზენტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტი დაცვაზე არ დაიშვება და მას მიეცემა სადისერტაციო ნაშრომზე დამატებით მუშაობის უფლება, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ განსაზღვრული სემესტრების განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 2 სასწავლო სემესტრისა.

სადისერტაციო საბჭოს მიერ გათვალისწინებულ ვადაში დოქტორანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს უწყდება დოქტორანტის სტატუსი.

დისერტაციის დაცვა

- **დაცვა** საჯაროა.
- ინფორმაცია დისერტაციის დაცვის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის (ფაკულტეტის) ვებ გვერდზე დისერტაციის დაცვამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე.
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კომისიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
- სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომას უნდა ესწრებოდეს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე რეცენზენტები.
- დაცვის პროცესი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო დისკუსიას და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნას (შეფასებას). დაცვის პროცესის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.
- გაითვალისწინეთ, რომ პრეზენტაცია არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს, კომისიის წინაშე უნდა წარადგინოთ ნაშრომის ძირითადი დებულებები და მიღებული შედეგები, მაკფიოდ ცამოაყაალიბოთ მეცნიერული სიახლე და გამოიყენოთ თვალსაჩინოება (მაგალითად: სლაიდები, პლაკატები, ვიდეო-კინო გასაშვები ტექნიკა და ა.შ.)
- ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება სამეცნიერო დისკუსია, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ აღემატება 60 წუთს. თქვენ უნდა უპასუხებს დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე სიტყვას გადასცემს რეცენზეტებს. რეცენზეტები კომისიას გააცნობენ საკუთარ რეცენზიებს. რეცენზენტების დოქტორანტთან პაექრობის შემდეგაც სიტყვა ეძლევა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელებს) დოქტორანტის პიროვნული დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კომისიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.
- სამეცნიერო კამათის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარის წინადადებით თქვემ გეძლევათ დასკვნითი სიტყვა, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს.
- საბოლოოდ, სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად გადაწყვეტილებას იღებს კონფიდენციალურად დახურულ სხდომაზე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ,, <u>სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში</u>”

დოქტორანტის
პროფესიული განვითარება

- სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი
- არაფორმალური განათლების სერვისი
- სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა
- კონსულტირების სერვისი
- კარიერული განვითარება
- ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა

სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი

სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი უნივერსიტეტში შექმნილია დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლების და კვლევის პროცესის ხელშეწყობა და უწყვეტი განვითარების მიზნით. ცენტრის დირექტორია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, მიდლსექსის უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი პოლ გიბსი.

სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრი თქვენს მხარდასაჭერად;

- ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო ჯგუფების შეხვედრებს („ვორქშოპებს“), ახდენს სამეცნიერო კონფერენციებისა და სეზონური სკოლების ორგანიზებას;
- აფასებს დოქტორანტურის საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესებს (შიდა გამოკითხვები, მონაცემთა ანალიზი და ა.შ.) და აკვირდება თქვენს აკადემიურ პროგრესს;
- მონაწილეობს სადოქტორო პროგრამების შემუშავებისა და გაუმჯობესების პროცესებში;
- მონაწილეობს უნივერსიტეტის კვლევითი ეთიკის სტანდარტების დანერგვა-განვითარების პროცესში;
- ახდენს თქვენს კონსულტირებას, მხარდაჭერასა და მონიტორინგს დოქტორანტურის საფეხურზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების კვლევითი ეთიკის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით;
- გეგმავს და ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით პროექტებს;
- თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო ფონდებთან, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- მონაწილეობს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარებაში.

სადოქტორო კვლევების განვითარების ცენტრის მიერ დაგეგმილი, განხორციელებული აქტივობები, დამხამრე მასალები და ა.შ. იხ. **ცენტრის ვებგვერდზე:** https://eeu.edu.ge/portfolio/education-research/

არაფორმალური განათლების სერვისი

დოქტორანტთა პროფესიული ზრდის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, EEU-ს სწავლა-სწავლებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი დოქტორანტებს სთავაზობს ტრენინგებს, სასერტიფიკატო კურსებს, საჯარო ლექციებს და ა.შ. დეტალები იხ. ცენტრის ვებგვერდზე: https://eeu.edu.ge/უწყვეტი-განათლება/

გაითვალისწინეთ, რომ თუ გსურთ, გაიუმჯობესოთ უცხო ენის (ინგლისური, რუსული, გერმანული, ფრანგული, ქართული) ცოდნა, ამისთვის EEU-ში შექმნილია ენების ცენტრი.

რატომ სწავლა-სწავლებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი?

- მრავალფეროვანი და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამები (მოდულები, კურსები);
- პროფესიონალი ქართველი და უცხოელი ტრენერები, დარგის საერთაშორისო ექსპერტები;
- სასერტიფიკატო კურსები საუნივერსიტეტო დაფინანსებით;
- სწავლისათვის მოსახერხებელი დრო და ფორმატი (დისტანციური/პირისპირ);
- ორენოვანი სერტიფიკატი;

სტუდენტური ინიციატივების მხადაჭერა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი", რომლის მიზანია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტებსა თუ კურსდამთავრებულებს შეუქმნას სამეცნიერო კვლევებისთვის სათანადო პირობები და მოტივაცია, მოხდეს ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება, ამაღლდეს განათლების ხარისხი, გამოვლინდნენ წარმატებული და ნიჭიერი სტუდენტები. დოქტორანტებს საშუალება აქვს წარადგინონ სამეცნიერო-კვლევითი, სპორტული/კულტურული და საგანმანათლებლო პროექტები, რომელთა დაფინანსებას უზრუნველყოფს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი (გრანტის ოდენობა 5000 ლარი).

პროექტის წარდგენა/დაფინანსების ეტაპები:

1) განცხადების დაწერა (განცხადებას დანართის სახით უნდა ერთოდეს:

ა) სამეცნიერო/კულტურული/სპორტული პროექტი, ბ)ცნობა სტუდენტ(ებ)ის სტატუსის შესახებ, დ) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2) განაცხადის განხილვა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ და პროექტის ავტორ(ებ)ის ინფორმირება ხარვეზის აღმოფხვრის საჭიროების შესახებ (ასეთის გამოვლენის შემთხვევაში);
3) პროექტის დაფინანსება/არდაფინანსების შესახებ პროექტის ავტორ(ებ)ს ეცნობებათ კომისის სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
4) რექტორის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ პროექტში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ კომისიის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში

5) პროექტის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში პროექტის ავტორ(ებ)მა კომისიის სახელზე უნდა წარმოადგინონ პროგრამული და ფინანსური ანგარიში;

დეტალური ინფორმაცია იხ. „სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესში"

კონსულტირების სერვისი

სადოქტორო პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე სათანადო კონსულტაციას/ინფორმაციას იღებენ სხვადასხვა საშუალებით. კერძოდ,

- EEU-ს პირველსემესტრელთა ახალ საგანმანათლებლო სივრცეში ორიენტირებისა და ინტეგრირების, სასწავლო პროცესის ეფექტიანად დაგეგმვის მიზნით, განათლების დეპარტამენტი **„ერთი სარკმლის"** პრინციპით ყველა სტუდენტს უწევს კონსულტაციას. კონსულტირების ფარგლებში, დეპარტამენტის თანამშრომლები განმარტავენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ წესებსა და რეგულაციებს, სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებს, ახდენენ თქვენს ინფორმირებას საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ
- ყოველი სემესტრის დასაწყისში იმართება **საინფორმაციო შეხვედრები** სტუდენტებთან, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენლები ისმენენ თქვენს მოსაზრებებს, რეკომენდაციებს სასწავლო პროცესსა და უნივერსიტეტში მიმდინარე სხვა საკითხებთან დაკავშირებით; ასევე, განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ იმართება ყოველწლიური შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორთან.
- ფაკულტეტის შესაბამისად ყველა დოქტორანტს ჰყავს მიმართულების კოორდინატორი (იხ. ფაკულტეტის ადმინისტრაციის საკონტაქტო ინფორმაცია გზამკვლევში, გვ.1)
- თქვენთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება **პირადი/კორპორატიული ელ–ფოსტა, სატელეფონო შეტყობინება, სოციალურ ქსელებში შექმნილი ოფიციალური ჯგუფები, EEU-EL**. ასევე, EEU–ს ცხელი ხაზი (032 2 48 01 41) საშუალებას გაძლევთ მარტივად დაუკავშირდეთ შესაბამის სამსახურს და მიიღოთ სასურველი ინფორმაცია.

- **TEAMS - ში** შექმნილია შესაბამისი სამსახურების ვირტუალური საკონსულტაციო ოთახები.
- **უნივერსიტეტის ვებგვერდი** [https://eeu.edu.ge] - თქვენ შეგიძლიათ კონსულტაციის მისაღებად გამოიყენოს უნივერსიტეტის ვებგვერდის ,,Online Chat''.

- **პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან საკონსულტაციო საათები** – სწავლის პროცესში პროფესორ/მასწავლებლებს გაწერილი აქვთ როგორც სალექციო/სასემინარო, ისე საკონსულტაციო განრიგი, თითოეული სტუდენტი, საჭიროების შემთხვევაში, იღებს კონსულტაციებს. (კონსლუტირების განრიგი იხ. ბმულზე; https://eeu/edu.ge/საკონსულტაციო-განრიგი/ ამასთან, გაითვალისწინეთ, სტუდენტს სასწავლო პროცესის მანძილზე ელექტრონული საფოსტო მიმოწერის გზით საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალება აქვს მისი ნებისმიერი ლექტორისაგან - ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია იმ ლექტორთა საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ჩათვლით), რომლებიც უძღვებიან ამა თუ იმ საგნის სალექციო კურსს, სემინარებს, სამუშაო ჯგუფებს და სხვა.

კარიერული განვითარება

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული განვითარების, ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის ხელშეწყობის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და დასაქმების მიზნით **EEU დოქტორანტებს სთავაზობს სხვადასხვა სერვისებს:**

- აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი შეუერთდა ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების ორგანიზაცია EURAXESS საქართველოს ეროვნულ პორტალს. EURAXESS საქართველო წარმოადგენს ევროკომისიის ინიციატივის ნაწილს, რომლის მიზანია მკვლევართა კარიერული განვითარებისა და მათი მობილობის ხელშეწყობა. EURAXESS EURAXESS საქართველოს პორტალი საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მოიძიონ სამუშაო შეთავაზებები და დაფინანსების შესაძლებლობები, ასევე შეუერთდნენ მეცნიერებს, რომლებმაც ისარგებლეს EURAXESS-ის უპირატესობით და განივითარონ კარიერა.
- EEU ჩართულია სტუდენტური სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში და დღემდე აქტიურად თანამშრომლობს საჯარო სამსახურის ბიუროსთან, რომელიც ყოველწლიურად უზრუნველყოფს მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებას საჯარო სამსახურში.
- სტუდენტებს ასევე შეუძლიათ გაიარონ სტაჟირება ან/და დასაქმდნენ უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში (იხ. ბმულზე: https://bit.ly/38gcRrj) EEU-ს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ასევე ითვალისწინებს არა მხოლოდ სტუდენტების სტაჟირებაზე მიღებას, დასაქმების შესახებ ინფორმაციების მოწოდებას, არამედ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობების ერთობლივად ჩატარებასაც;
- სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ სტაჟირება EEU-ს საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებში. (https://eeu.edu.ge/portfolio/universities/)

- EEU არის აშშ–ს მსოფლიო განათლების მომსახურების (WES–WORLD EDUCATION SERVICES) ორგანიზაციის წევრი და ნებისმიერ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა, მოიპოვოს მობილობის უფლება, მიიღოს შეფასება/რეკომენდაცია, განათლების კვალიფიკაციის აღიარება აშშ–სა და კანადის ქვეყნების სხვადასხვა დაწესებულებაში დასაქმების უფლების მიღების მიზნით და ა.შ.
- შიდასაუნივერსიტეტო სტაჟირების პროგრამა ითვალისწინებს ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციულ სამსახურებში სტუდენტების სტაჟირებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან ანაზღაურებად სტაჟირებას EEU-ს სხვადასხვა სამსახურში და სტაჟირების დასრულების შემდეგ ხშირად ამავე სამსახურში საქმდებიან პროფილის შესაბამისად.
- ეწყობა დასაქმების ფორუმები, თემატური კონფერენციები (მაგალითად, "დასაქმების სააგენტო ეიჩარი"-ის დასაქმების ფორუმი, ონლაინ დასაქმების ფორუმი, განათლების საერთაშორისო გამოფენა და სხვა.

ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა

ინტერნაციონალიზაცია და მისი შედეგების გამოყენება უნივერსიტეტის მართვასა და საგანმანათლებლო საქმიანობაში აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისათვის სტრატეგიული პრიორიტეტია.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ყველა საფეხურის სტუდენტს (ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს) ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერ სერვისებს სთავაზობს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი.

საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უნივერსიტეტის ვებგვერდზე და EEU-EL-ის საინფორმაციო დაფაზე მუდმივად აქვეყნებს ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და საზაფხულო/ზამთრის სკოლების შესახებ, რომლებსაც EEU-ს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები თუ ორგანიზაციები სთავაზობენ უნივერსიტეტის სტუდენტებს.

გაცვლითი პროექტების ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, კონკურსის გავლის გზით ისწავლონ უნივერსიტეტის პარტნიორ ევროპის სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტში. ასევე, დარეგისტრირდნენ ზამთრის და ზაფხულის სკოლებში. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე პერიოდისთვის საერთაშორისო აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი 50-ზე მეტი საერთაშორისო უნივერსიტეტის პარტნიორი და ორგანიზაციების წევრია. (პარტნიორი უნივერსიტეტები და ორგანიზაციები იხ.ბმულზე). 2021 წლიდან კი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი **ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA)** ინდივიდუალური სრული და სადოქტორო განათლების საბჭოს წევრია, რაც სტუდენტებს ფასდაუდებელ შესაძლებლობებს აძლევს. უნივერსიტეტის ვებგვერდზე და EEU-EL-ის საინფორმაციო დაფებზე მუდმივად ქვეყნდება ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და საზაფხულო/ზამთრის სკოლების შესახებ, რომლებსაც EEU-ს სტუდენტებსა და პერსონალს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები თუ ორგანიზაციები სთავაზობენ .

დოქტორანტებს ასევე საშუალება აქვთ ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციებში, ერთობლივ პროექტებში და ა.შ.

საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები[3]:

UCL – University College London

University of Lodz (POLAND)

University of Education (AUSTRIA, LINZ)

Turiba University

Riga Technical University

Riga Medical College of the University of Latvia

Yerevan state medical university After Mkhitar Herasi

University of Finance and Administration (PRAGUE)

Uniman Academy of Management and Performance (GRENOBLE, FRANCE)

Hochschule Fresenius (GERMANY)

Horizon College of Business and Technology (Colombo, Sri Lanka)

Sharda University (India)

[3] https://eeu.edu.ge/portfolio/univesities/?lang=en

სხვა მხარდამჭერი სერვისები და რჩევები

- დოქტორანტის უფლება-მოვალეობები და მათი დაცვა
- ფინანსური მხარდაჭერა და სამეცნიერო გრანტები
- სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა
- სამედიცინო მომსახურება
- საბიბლიოთეკო რესურსები

დოქტორანტის უფლება-მოვალეობები და მათი დაცვა

EEU სტუდენტს აქვს უფლება:

- მიიღოს უნივერსიტეტისგან საგანმანათლებლო მომსახურება და ხარისხიანი განათლება;
- მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილ აქტივობებში;
- თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
- ისარგებლოს უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისებით;
- დააფუძნოს ან გაწევრიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში/კლუბებში საკუთარი ინტერესების შესაბამისად;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში;
- პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პროგრამები, სასწავლო პროცესი, აკადემიური პერსონალი და სასწავლო კურსები, ასევე უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისი;
- ღიად და თავისუფლად გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები;
- მიმართოს სტუდენტური ომბუდსმენის ოფისს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების საკითხებზე მომსახურების მისაღებად;
- აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესაბამისად.
- მონაწილეობა მიიღოს აკრედიტაცია/ავტორიზაციის თვითშეფასების ჯგუფების მუშაობასა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში;
- ისარგებლოს მობილობის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად;
- დაწეროს საჩივარი/განცხადება აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით;
- მოითხოვოს საგამოცდო ნაშრომის გაცნობა/აპელაცია და პედაგოგის მხრიდან უკუკავშირი, ასევე ნაშრომის სააპელაციო კომისიისათვის გადაცემა ,,გამოცდების ჩატარების წესით'' დადგენილი პროცედურების დაცვით;
- საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ;
- განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

EEU სტუდენტი ვალდებულია:

- მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს და ასევე, შიდა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც სასწავლო პროცესსა და სწავლის საფასურთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.
- უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში და წესით გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია (გადაიხადოს სწავლის საფასური) და აკადემიური რეგისტრაცია;
- უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია და რომლის სწავლა სავალდებულოა.
- უზრუნველყოს უნივერსიტეტის კუთვნილი ქონების, მოწყობილობებისა და მასალების სათანადოდ მოპყრობა და დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ გატარდება უნივერსიტეტის ქცევის (ეთიკის) კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიებები. უნივერსიტეტისთვის მიყენებული ზიანის გამო სტუდენტს დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- სრულად გადაიხადოს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასური უნივერსიტეტის მიერ გაწეული სემესტრული მომსახურის მიხედვით;
- არ დააზიანოს უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული პროგრამები;
- არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე/პლაგიატი;
- აკადემიური სიყალბის დაფიქსირების შემთხვევაში, აცნობოს შესაბამის სტრუქტურას.
- წარუდგინოს უნივერსიტეტს უტყუარი ინფორმაცია, პირადი და საკონტაქტო მონაცემები, ასევე უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და მათი ცვლილების შემთხვევაში აცნობოს უნივერსიტეტს/განაახლოს პირადი ინფორმაცია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში;
- უზრუნველყოს თანამოსაუბრეებისადმი პატივისცემით მოპყრობა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას დაიცვას ეთიკის ნორმები;
- დაიცვას უნივერსიტეტის ,,ქცევის (ეთიკის) კოდექსით'', ,,პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილებისა და პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესით'', წინამდებარე წესით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები/წესები და ასევე, უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;

EEU სტუდენტის ქცევის ზოგადი სტანდარტები:

- სტუდენტმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტს, ჩაერთოს სასწავლო პროცესში, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, კომპეტენციისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში/კვლევებში; ზედმიწევნით

დაიცვას საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებისა და სხვა შეთანხმებების პირობები.

- სტუდენტმა პატივი უნდა სცეს უნივერსიტეტის პერსონალს; დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები; დაემორჩილოს უნივერსიტეტის საქმიანობის მარეგულირებელ წესებს;
- გაუფრთხილდეს და დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი და რეპუტაცია, პატივი სცეს სხვა სტუდენტებსა და უნივერსიტეტში დასაქმებულ პირებს; მოეპყროს მათ კეთილსინდისიერად და სამართლიანად; გამოიჩინოს კეთილგანწყობა, თანაგრძნობა და კოოპერაცია;
- თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ქმედების ჩადენისგან, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს უნივერსიტეტის დისკრედიტაცია.

სტუდენტი ვალდებულია:

- სწავლების ან/და კვლევის პროცესში იყოს სათანადოდ მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული; დაესწროს ლექციებს/სემინარებს; არ დააგვიანოს მათზე;
- დროულად გამოცხადდეს გამოცდებზე, დაიცვას გამოცდისთვის უნივერსიტეტში დადგენილი წესები; არასაპატიო მიზეზით არ გააცდინოს გამოცდები;
- ხელი არ შეუშალოს სასწავლო ან/და კვლევითი პროცესის მიმდინარეობას უნივერსიტეტში;
- საკუთარი აზრი დააფიქსიროს კორექტულად და დაიცვას გამოხატვის თავისუფლების ფარგლები. ამასთანავე, მოუსმინოს სხვა სტუდენტების/უნივერსიტეტის პერსონალის/უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების აზრს და პატივი სცეს სხვების აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებას;
- არ მიაყენოს სიტყვიერი, ფიზიკური თუ სხვა სახის შეურაცხყოფა სხვა სტუდენტს/უნივერსიტეტის პერსონალს ან/და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს; თავი შეიკავოს სხვა სტუდენტების/ უნივერსიტეტის პერსონალის/ სხვა პირების თანდასწრებით სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის/სხვა პირის გაკიცხვისგან;
- პირადი სარგებელის სანაცვლოდ, ანგარების მიზნით არ შესთავაზოს საჩუქარი ან თანხა ან სხვა სახის სარგებელი უნივერსიტეტის სხვა სტუდენტსა და პერსონალს (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე).
- არ გაამჟღავნოს მისთვის ცნობილი პერსონალური ინფორმაცია უნივერსიტეტის სტუდენტის/უნივერსიტეტის პერსონალის შესახებ და დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა გარდა ლეგიტიმური საჭიროებისა;
- უნივერსიტეტის მართვის ორგანოების თანხმობის გარეშე თავი შეიკავოს პირადი ან ჯგუფური მიზნებისთვის უნივერსიტეტის დასახელების, ლოგოს ან სხვა ატრიბუტიკის გამოყენებისგან უნივერსიტეტის ინტერესების საზიანოდ;
- არ გააყალბოს საუნივერსიტეტო მონაცემები;

- გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას. ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენოს უნივერსიტეტის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები;
- არ გამოიყენოს უნივერსიტეტის ინტერნეტის რესურსები არადანიშნულებით;

EEU სტუდენტისთვის არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

- გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან სხვა სახის დამხმარე მასალის გამოყენება, რომელიც ლექტორის მიერ წინასწარ არ არის ნებადართული და აკრძალულია უნივერსიტეტის მიერ;
- სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან თხოვნა სხვა პირისათვის, რომ მის მაგივრად ჩააბაროს გამოცდა;
- გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება ან/და მისი გავრცელება;
- სხვა პირის ნამუშევრის როგორც საკუთარის წარმოჩენა;
- პირადი მონაცემებისა და მიღებული შეფასებების გაყალბება;
- სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
- ხელის შეშლა სხვა სტუდენტებისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
- სხვა სტუდენტისათვის ხელის შეწყობა აკადემიურ სიყალბეში;
- კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება;
- შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური, ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით;
- ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად წარმოჩენა.

სტუდენტთა ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სერვისები – უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი. ომბუდსმენი ზედამხედველობს სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, განიხილავს საჩივრებს ისეთი ქმედების თაობაზე, რომლებიც არღვევს მათს უფლებებს. სტუდენტის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის, შეზღუდვის, ფაქტებთან დაკავშირებით წარმოქმნილ კონფლიქტურ ურთიერთობებში მხარეებს შორის ასრულებს მედიატორის (შუამავლის) ფუნქციას და ხელს უწყობს ეფექტიან კომუნიკაციას; სტუდენტური ომბუდსმენის ოფისი არის კონფიდენციალური, მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და არაფორმალური სტუდენტური რესურსი, სერვისი და ავსებს ფორმალურ პროცესებს. ეწევა საინფორმაციო და საგანმანთლებლო საქმიანობას (ტრენინგები, პრეზენტაციები, დისკუსიები, კონსულტაციები და ა.შ.). დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://eeu.edu.ge/portfolio/studenturi-ombudsmeni/

ფინანსური მხარდაჭერა და სამეცნიერო გრანტები

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს **„სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი"** , რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. სოციალურ-ეკონომიკურ და სოციალურად მოწყვლად სტუდენტთა მდგომარეობის გათვალისწინებით EEU ახორციელებს სხვადასხვა მხარდამჭერ ღონისძიებებს, კერძოდ: **სწავლის საფასურის გადახდის ეტაპობრივი სისტემა** - ამ მიმართულებით სტუდენტებს მომსახურებას/კონსულტირებას უწევს სპეციალურად გამოყოფილი პირი (საფინანსო და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი) და ამასთანავე, EEU-EL ბაზის მეშვეობით სტუდენტებს შეუძლიათ, დისტანციურად გააფორმონ ინდივიდუალური შეთანხმება, აკონტროლონ თავიანთი გადახდები და გადახდის გრაფიკი და ა.შ. უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის, სტუდენტური თვითმმართველობის მიმართვის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის **ინდივიდუალურ წამახალისებელ ღონისძიებებს**. **ერთჯერადი სტიპენდია/სასწავლო ვაუჩერი/ჯილდო** - საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გამოჩენილი განსაკუთრებული აქტივობისთვის და ა.შ.

დეტალური ინფორმაცია იხ. [„სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი"]

დოქტორანტს შეუძლია მოიპოვოს შიდა სამეცნიერო გრანტი 5000 ლარის ოდენობით. შიდა სამეცნიერო გრანტის მოპოვების საკითხების შესახებ დეტალური იფნორმაცია შეგიძლიათ იხილოთ დოკუმენტში: [„სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი"]

სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის მართვაში

სტუდენტს უფლება აქვს, აირჩიოს წარმომადგენელი ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, წარმომადგენლობით საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოში.

- **სტუდენტური თვითმმართველობა**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა უნივერსიტეტის შემადგენლობაში არსებული სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანოა, დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულებითა და მართვის ორგანოებით, რომელიც ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის დებულებითა და თვითმმართველობის დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ისე მის გარეთ. [(დეტალები იხ. ბმულზე)]

- **წარმომადგენლობითი საბჭო, ფაკულტეტის საბჭო**



სტუდენტები ჩართულნი არიან მმართველ ორგანოებში. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი მმართველი კოლეგიური სტრუქტურული ერთეული, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ეფექტიან მართვასა და განვითარებას, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტრატეგიული საკითხების კოლეგიური გადაწყვეტა, უნივერსიტეტის მართვისა და საქმიანობის ღიაობა, გამჭვირვალობა და მასში საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობა.
საბჭოში არჩეულ წევრ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 3 წევრით, უნივერსიტეტის თითოეული ფაკულტეტიდან თითო წევრი.

ფაკულტეტის მმართველი წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედის სტუდენტთა არჩეული 2 წევრი. სტუდენტი წევრები აირჩევიან სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ. საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების წესი, პროცედურა, უფლებამოსილება და მუშაობის რეგლამენტი განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის, მობილობით/შიდა მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის, აკადემიური ჩამორჩენილობის ან განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტი შეიმუშავეს **ინდივიდუალური სასწავლო გეგმას.** (იხ. ბმულზე: http://eeu.edu.ge/eeu/იურიდიული-ცნობარი/).

ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

EEU სტუდენტებს უფასო ფსიქოლოგიურ მომსახურებას/კონსულტაციას სთავაზობს. მომსახურება განკუთვნილია იმ სტუდენტებისთვის, რომელთაც აქვთ შფოთვა, დაქვეითებული გუნებ-განწყობა, უჭირთ სხვადასხვა სახის სტრესთან გამკლავება (მაგალითად, სირთულეები სოციალურ სიტუაციებში, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში), შიშები და სხვა. კონსულტაცია ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ შეხვედრებს და ამ მიმართულებით სტუდენტებს მომსახურებას უწევენ EEU-ს ფსიქოლოგიისა და ნეირომეცნიერებების კვლევითი ცენტრის "ლაბორატორია Z"- ის სპეციალისტები.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით განათლების დეპარტამენტს (სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისა და სტუდენტური სერვისების განყოფილება)

სამედიცინო მომსახურება

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები აგრეთვე სარგებლობენ უფასო სამედიცინო დაზღვევის სერვისით ,,მედისონის'' კლინიკებში (დეტალური ინფორმაცია იხ. ბმულზე).

საბიბლიოთეკო რესურსი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU-LIB) ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავს, სამკითხველო დარბაზებს, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალისთვის სამუშაო სივრცეებს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეებს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცეებს;

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას აქვს **სამკითხველო დარბაზი, 70 ადგილით:**

ბიბლიოთეკაში სტუდენტს შეუძლია:

- გაიტანოს ან წინასწარ დაჯავშნოს მისთვის სასურველი წიგნი;
- მიიღოს სრული ბიბლიოგრაფიული ინფორმაცია და კონსულტაცია ბიბლიოთეკარისგან;
- გამოიყენოს საერთაშორისო ელექტრონულ მონაცემთა ის ბაზები, რომლებზეც აქვს წვდომა უნივერსიტეტს;
- ისარგებლოს სამკითხველო დარბაზითა, ჯგუფური მუშაობის სივრცითა და კომპიუტერული რესურსცენტრით.
- გადაიღოს ბიბლიოთეკაში არსებული მასალების ქსეროასლები

ელექტრონული კატალოგის გამოყენების ინსტრუქცია:

გადადით ბმულზე: http://eeu.edu.ge/lib/opac/. და მოძებნეთ თქვენთვის საინტერესო მასალა შესაბამისი ავტორის/სათაურის/თემატიკის/შიფრის/საძიებო ფრაზის მითითებით.

ყველა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მხარდაჭერა, რომელშიც განთავსებულია როგორც ქართულენოვანი, ისე უცხოენოვანი თანამედროვე წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებსა და სხვა სასწავლო მასალებს (მათ შორის ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად (ან საჭიროებისამებრ) სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით და ასევე, სხვა სახის ლიტერატურით.

- **აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტსა და Middlesex უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) განათლების დეპარტამენტს შორის დადებული** შეთანხმების თანახმად, უნივერსიტეტის დოქტორატებისთვის და განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის ხელმისაწვდომია მიდლსექსის უნივერისტეტის განათლების დეპარტამენტის სამეცნიერო და სასწავლო მასალები.
- EEU არის **დიდი ბრიტანეთის მკვლევართა პოტენციალის განმახორციელებელი პროგრამის** (**Vitae**) წევრი, რაც ითვალისწინებს Vitae-ს ონლაინ რესურსებზე (სახელმძღვანელოები, სატრენინგო მასალები, კვლევით პროექტები, ანგარიშები და ა.შ.) სრულ წვდომას.

- უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს **„საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან"** და მასთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს საჯარო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზიარებასა და წიგნების გატანას.

ბიბლიოთეკის სამუშაო განრიგი:

EEU ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე კვირის გარდა: 10:00 საათიდან 21:00

სასარგებლო ბმულები:

- საერთაშორისო მონაცემთა ბაზები: https://goo.gl/DjjhyL
- ბიბლიოთეკით სარგებლობის ინსტრუქცია: http://eeu.edu.ge/wp-content/uploads/2017/02/bibliotekitsaregblobisinstruqcia.pdf
- დისტანციური წვდომის ინსტრუქცია

საკონტაქტო ინფორმაცია: EEU.Lib@eeu.edu.ge, (032) 2 48 01 41

სადოქტორო პროგრამის დასრულება

- კვალიფიკაციის მინიჭება
- დიპლომის გაცემა

კვალიფიკაციის მინიჭება

- სტუდენტის მიერ შესაბამისი საფეხურის კომპეტენციების გამომუშავების და პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის დაგროვების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია
- სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭება დასტურდება შესაბამისი საფეხურის დიპლომით;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო
- **დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა** - აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება მინიჭებული აკადემიური ხარისხის საფუძვლიანობის შემოწმების თაობაზე. სადისერტაციო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ან სადისერტაციო საქმისწარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია ბათილად ცნოს მინიჭებული აკადემიური ხარისხი და გააუქმოს შესაბამისი დიპლომი.

დიპლომის გაცემა

- დიპლომთან ერთად გაიცემა დიპლომის დანართი კვალიფიკაციის მინიჭებიდან სამი თვის ვადაში, თუ დასტურდება რომ მას არ აქვს უნივერსიტეტის წინაშე ფინანსური და სხვა სახის ვალდებულება;

კურსდამთავრებულმა დიპლომისა და დიპლომის დანართის მისაღებად უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურის მენეჯერს (ოთახი 19, ტელეფონი:
032 2 48 01 41)

დანართი 1

კვლევითი ეთიკის კომიტეტისთვის წარსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია

- კვლევითი ეთიკის განაცხადის ფორმა (**იხ. დანართი 1.1**);
- კვლევის მონაწილეთა საინფორმაციო ფურცელი (**იხ. დანართი 1.2**);
- ინფორმირებული თანხმობის ფორმა (**იხ. დანართი 1.3**);

დანართი 1.1

ალმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

კვლევის ეთიკის განაცხადის ფორმა

ნაწილი I - ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

1. სახელი, გვარი:
2. პირადი ნომერი:
3. სტატუსი: ☐ სტუდენტი ☐ აკადემიური პერსონალი
4. ფაკულტეტისა და პროგრამის დასახელება:
5. აპლიკაციის ჩაბარება: ☐ ახალი ☐ განმეორებითი
6. ინფორმაცია სამეცნიერო ხელმძღვანელის/კვლევის ხელმძღვანელის შესახებ:

ნაწილი II - ინფორმაცია შემოთავაზებული კვლევის შესახებ

1. კვლევის სრული დასახელება:
2. კვლევის დაწყების სავარაუდო თარიღი:
3. მიზნები:
4. კვლევის აღწერა და მისი დასაბუთება:

5. კვლევის მეთოდების აღწერა (მათ შორის მონაცემების შეგროვების ტიპი, სამიზნე ჯგუფი და ა.შ.)

6. დამატებითი კითხვები:
   - მოსალოდნელია თუ არა კვლევის პროცესში პირის ჩართვა მისთვის კვლევის ნამდვილი მიზეზისა და მიზნის წინასწარი ინფორმირების გარეშე (მაგალითად, ფარული დაკვირვება ადამიანებზე არასაჯარო ადგილებში)?

   - ჩატარდება თუ არა კვლევა საჯარო (ფიზიკურ ან ვირტუალურ) სივრცეში (მაგალითად, ქალაქში, საჯარო ღონისძიებაზე, ონლაინ), რომელშიც მონაწილეებს ექნებათ იმის გონივრული მოლოდინი, რომ მათი ქცევები დაკვირვების ქვეშ მოექცევა?

ნაწილი III - ანონიმურობა, კონფიდენციალურობა და თანხმობა *(გთხოვთ, წარმოადგინოთ კვლევაში მონაწილე პირის თანხმობის ფორმა)*

1. აცნობებთ თუ არა მონაწილეებს, რომ მათი მონაწილეობა ნებაყოფლობითია და რომ მათ უფლება აქვთ, გამოეთიშონ კვლევას ნებისმიერ დროს, ყოველგვარი სანქციის გარეშე?

2. მოახდენთ თუ არა ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფის ან/და დაკვირვებების აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერას? მიიღებთ თუ არა წერილობით თანხმობას კვლევაში მონაწილეობის შესახებ?

3. გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქნება დაცული მონაწილეთა ანონიმურობა ჩანაწერებში?

4. როგორ შეესაბამება მონაცემთა შენახვა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს?

5. აღწერეთ ფიზიკური უსაფრთხოების ზომები პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კვლევის დროს.

6. ეტყვით თუ არა მონაწილეებს, რომ მათი მონაცემების გამოყენება მოხდება კონფიდენციალურად, ხოლო კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის შეზღუდვები მითითებული იქნება თქვენს „**მონაწილეთა საინფორმაციო ფურცელში**“?

7. მიიღებენ თუ არა კვლევაში მონაწილეები რაიმე სახის წახალისებას ან ანაზღაურებას (მაგალითად, ხარჯები და კომპენსაცია დახარჯული დროისთვის)? თუ კი, მაშინ როგორი სახის იქნება ეს წახალისება/ანაზღაურება?

8. დაგჭირდებათ თუ არა ახსნა-განმარტებითი შეხვედრის მოწყობა რაიმე სახის გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რათა დარწმუნდეთ, რომ მონაწილეებმა გაიგეს სამეცნიერო კვლევის არსი?

9. რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს თქვენმა კვლევამ კვლევის სუბიექტებზე?

ნაწილი IV - სხვა საკითხები

1. მოიცავს თუ არა კვლევა ეთიკურ ან / და იურიდიულ საკითხებს, რომლებიც ჯერ არ განხილულა, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული? თუ კი, მაშინ როგორ უნდა იქნეს ისინი გათვალისწინებული?

2. წარმოშობს თუ არა კვლევა თქვენი ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რაიმე ისეთი სახის დამატებით რისკს?

3. არსებობს თუ არა რაიმე ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც უნდა გაცხადდეს აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით? ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაასახელოთ ის.

ხელმოწერები და თარიღები

დანართი 1.2

კვლევის მონაწილის საინფორმაციო ფურცელი

(მკვლევარის სახელი, გვარი)

აღნიშნულ ფორმას მკვლევარი გადასცემს კვლევის მონაწილეს ისეთი კვლევის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც მოიცავს ნებისმიერი ტიპის პერსონალური მონაცემების შეგროვებას; ხმოვან ჩანაწერებს; ფოკუს-ჯგუფებს; ექსპერიმენტებს / დაკვირვების საფუძველზე წარმოებულ კვლევებს, მოწყვლად ჯგუფებს (მაგ., 18 წლამდე ასაკის ადამიანებს, კოგნიტური დარღვევების მქონე მოზრდილებს და ა.შ.) და მგრძნობიარე თემებს (ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება იყოს უაღრესად პირადული, ტაბუირებული, ვისიმე ნებართვის ან სურვილის საწინააღმდეგოდ გაკეთებული ან ნათქვამი, მასტიგმატიზირებელი, სქესობრივი ხასიათის, უკანონო და პოტენციურად

საშიში, ეროვნული უსაფრთხოებისთვის საზიანო და ა.შ.). კვლევაში არასრულწლოვანის მონაწილეობის შემთხვევაში საჭიროა, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის საინფორმაციო და თანხმობის ფურცლების გადაცემა.

შენიშვნა მკვლევრებისთვის: გთხოვთ, ამოიღოთ / შეცვალოთ მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც ლურჯი ფერის ტექსტითაა მოცემული. ყველა სხვა სახის ინფორმაცია უნდა დარჩეს.

კვლევის პოტენციურ რესპონდენტებს უნდა მიეწოდოს საკმარისი ინფორმაცია, რათა მათ შეძლონ იმის გადაწყვეტა, მიიღონ თუ არა კვლევაში მონაწილეობა. მონაწილის წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ქვემოთ მოცემულ განყოფილებებში (ივსება საჭიროების მიხედვით). ის მარტივი, არატექნიკური ტერმინებით უნდა იყოს გადმოცემული და ადვილად გასაგები უნდა იყოს კვლევის სფეროს გარეთ მყოფი პირისთვის. თუკი თქვენი კვლევის მონაწილეები განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები არიან (მაგ., ხანდაზმული ადამიანები), საინფორმაციო ფურცელში მოცემული ტექსტი ადვილად აღქმადი უნდა იყოს ამ ჯგუფებისთვის (ბავშვების/ახალგაზრდა ადამიანების შემთხვევაში).

ნაწილი 1

1. პროექტის / კვლევის სახელწოდება

მიუთითეთ თქვენი კვლევის სათაური და დარწმუნდით, რომ ის თავისთავად შესაბამისობაშია კონკრეტულ კვლევასთან.

2. მოწვევა

თქვენ მოწვეული ხართ, რათა მონაწილეობა მიიღოთ კვლევაში. ვიდრე კვლევაში მონაწილეობას გადაწყვეტთ, მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რატომ ტარდება კვლევა და რას გულისხმობს ის. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ ინფორმაციას და, სურვილის შემთხვევაში, განიხილეთ ის სხვებთან ერთად. გვკითხეთ ჩვენ, თუკი რაიმე გაუგებარია, ან თუკი მეტი ინფორმაციის მიღება გსურთ. იფიქრეთ და გადაწყვიტეთ, გსურთ თუ არა კვლევაში მონაწილეობა.

მადლობას გიხდით შემდეგი ინფორმაციის გაცნობისთვის

3. რა არის კვლევის მიზანი?

აქ გადმოცემული უნდა კვლევის საფუძველი და მიზანი. ეს უნდა იყოს თქვენი შეხედულებების გადმოცემა არასპეციალისტისთვის (ლიტერატურის მითითების გარეშე).

4. რატომ ამირჩიეს კვლევაში მონაწილეობის მისაღებად?

თქვენ უნდა ახსნათ, როგორ და რატომ იქნა მონაწილე კვლევაში მოწვეული (მაგ. სქესი, ასაკი, სპორტული მონაცემები და ა.შ.), რა პრინციპით ხდება მონაწილეების შერჩევა (ვინ არის ჩართული და ვინ - არა), კიდევ ვინ მიიღებს მონაწილეობას კვლევაში.

5. უნდა მივიღო თუ არა მონაწილეობა?

EEU

თქვენზეა დამოკიდებული, მიიღებთ თუ არა კვლევაში მონაწილეობას. თუკი კვლევაში მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტთ, თქვენ გადმოგცემენ თანხმობის ფორმას, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროთ. თუკი მონაწილეობის მიღებას გადაწყვეტთ, თქვენ კვლავ თავისუფლად შეძლებთ კვლევაში მონაწილეობის შეწყვეტას ნებისმიერ დროს და მიზეზის მითითების გარეშე. თუკი გადაწყვეტთ კვლევის დატოვებას, გთხოვთ, რაც შეიძლება სწრაფად აცნობოთ ამის შესახებ მკვლევარს, რომელიც ხელს შეგიწყობთ ამ პროცესში. თუკი რაიმე მიზეზის გამო გსურთ თქვენი მონაცემების ამოღება კვლევიდან, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მკვლევარს კვლევაში თქვენი მონაწილეობიდან ერთი თვის განმავლობაში. ამ თარიღის შემდეგ შესაძლოა, შეუძლებელი იყოს თქვენი ინდივიდუალური მონაცემების ამოღება კვლევიდან, რადგან შედეგები, შესაძლოა, უკვე გამოქვეყნებული იყოს. თუმცა დაცულია ანონიმურობა, ასე რომ, თქვენი ინდივიდუალური მონაცემების დადგენა შეუძლებელი იქნება.

6. რისი გაკეთება მომიწევს?

ეს განყოფილება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- რამდენ ხანს იქნება კვლევის მონაწილე კვლევაში ჩართული;
- რამდენ ხანს გაგრძელდება კვლევა (თუკი ეს ვადა განსხვავდება წინა პუნქტში მითითებული ვადისგან);
- სად მოხდება მონაცემების შეგროვება (მაგ. კვლევის მონაწილის სამსახურში, კლინიკაში და ა.შ.);

- რამდენად ხშირად დასჭირდება ვიზიტი კვლევის მონაწილეს (მაგალითად, კლინიკაში/ლაბორატორიაში/სავარჯიშო დარბაზში მისვლა, ან ესტუმრებით თუ არა თქვენ სკოლას).

- რამდენ ხანს გაგრძელდება თითოეული ვიზიტი და რა უნდა გააკეთოს მონაწილემ თითოეული ვიზიტის დროს (რამდენიმე ვიზიტის შემთხვევაში, ჩამოთვალეთ და დაასათაურეთ ისინი). ზუსტად აღწერეთ, რა მოხდება: მაგალითად, კითხვარის შევსება (დაურთეთ შემუშავებული ანკეტა-კითხვარი), თუ ინტერვიუს ჩაწერა დიქტოფონის მეშვეობით.

- თუკი თქვენ კვლევის მონაწილეებს ჯგუფებად ჰყოფთ, მაშინ აღწერეთ, როგორ გაკეთდება ეს (მაგალითად, ეცოდინებათ თუ არა კვლევის მონაწილეებს, თუ რომელ ჯგუფში არიან ისინი და რა სახის ინტერაქცია განხორციელდება ამ ჯგუფთან. მაგალითად, ჯგუფები შესაძლოა, იყოს შერჩეული შემთხვევითი პრინციპით, ან კიდევ ჯგუფებში განაწილება შესაძლოა, გარკვეულ ინდიკატორს (ასაკი, სქესი, პროფესია და ა.შ.) ემყარებოდეს.

- ინტერვიუების შემთხვევაში, აღწერეთ როგორ ჩატარდება ინტერვიუები, რა სახის რისკები შეიძლება იქნეს აღმოჩენილი და როგორ მოხდება რისკების მენეჯმენტი.

მომიწევს თუ არა რაიმე სხეულის ნიმუშის მიწოდება (მაგ., სისხლი / ნერწყვი / შარდი)?

თუ არა, მიუთითეთ „არა“

თუ კი, მაშინ განმარტეთ, რა იქნება მიღებული, ვის მიერ იქნება მიღებული ნიმუში და მიაწოდეთ კვლევის მონაწილეს შემდეგი ინფორმაცია: „თუკი ტესტებმა გამოავლინეს პათოლოგია (იმ შემთხვევებში, როდესაც არსებობს/აღიარებულია კლინიკური სტანდარტები ტესტის შედეგებთან დაკავშირებით), მკვლევარი გირჩევთ, შემდგომი სამედიცინო რჩევის მისაღებად თქვენს სამედიცინო პროვაიდერს დაუკავშირდეთ. ამავე დროს, გაითვალისწინეთ, რომ ერთი ტესტი ყოველთვის არ წარმოადგენს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის ზუსტ ასახვას.“

რა არის კვლევაში მონაწილეობის შესაძლო რისკ(ებ)ი?

შეექმნება თუ არა კვლევის მონაწილეს რაიმე სახის ფსიქოლოგიური დისკომფორტი ან უხერხულობა?

შეექმნება თუ არა რაიმე საფრთხე კვლევის მონაწილეს სამსახურში?

რისკების შემთხვევაში, როგორ ახდენთ რისკების მენეჯმენტს?

თუკი ფიქრობთ, რომ კვლევას რაიმე სახის რისკები არ უკავშირდება, რეკომენდირებულია იმის აღნიშვნა, რომ კვლევაში მონაწილეობას რაიმე კონკრეტული რისკი არ ახლავს თან. რისკების შეფასება ყველა პროცედურასთან მიმართებით განხორციელდა. პოტენციური რისკების შეფასების პროცესი მთელი კვლევის განმავლობაში განხორციელდება.

7. რა სარგებლობა მოაქვს მონაწილეობას?

„ვიმედოვნებთ, რომ კვლევაში მონაწილეობა თქვენთვის სასიამოვნო პროცესი იქნება. თუმცა, ამის გარანტირება შეუძლებელია. ამ კვლევიდან მიღებული ინფორმაცია შესაძლოა, დაგვეხმაროს....“ რასაც აქ დაწერთ, უნდა ეხებოდეს თქვენი კვლევის პრაქტიკულ სარგებელს, რომელიც კვლევის მიზანში გაქვთ მოცემული.

8. კონფიდენციალური იქნება თუ არა ჩემი მონაწილეობა ამ კვლევაში?

მკვლევართა ჯგუფმა შეიმუშავა მთელი რიგი პროცედურები მონაწილეთა კონფიდენციალურობის დასაცავად. კერძოდ, თქვენ მოგენიჭებათ მონაწილის კოდი, რომელიც ყოველთვის იქნება გამოყენებული თქვენ მიერ მოწოდებული ნებისმიერი მონაცემის დასადგენად. თქვენი სახელი, ან სხვა პირადი მონაცემები არ დაუკავშირდება თქვენს მონაცემებს: მაგალითად, თანხმობის ფორმა, რომელსაც ხელს აწერთ, თქვენი მონაცემებისგან განცალკევებით იქნება შენახული. ქაღალდზე არსებული ყველა ჩანაწერი ინახება ჩაკეტილ კაბინეტში, რომელიც მხოლოდ კვლევითი ჯგუფისთვისაა ხელმისაწვდომი, ხოლო ყველა ელექტრონული მონაცემები ინახება პაროლით დაცულ კომპიუტერზე. თქვენ მიერ მოწოდებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავება განხორციელდება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

9. რა დაემართება კვლევის შედეგებს?

კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება როგორც აკადემიური/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ნაწილი. შედეგები, ასევე, შეიძლება წარმოდგენილი იყოს სამეცნიერო კონფერენციებზე ან გამოქვეყნდეს სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების სახით. თუმცა, მონაცემებს გამოიყენებენ მხოლოდ მკვლევართა ჯგუფის წევრები, ხოლო თქვენი პირადი მონაცემები არც ერთ ეტაპზე არ გასაჯაროვდება.

10. ვინ განიხილა კვლევა?

კვლევამ მიიღო სრული ეთიკური დადასტურება აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის კვლევის ეთიკის კომიტეტისგან, რომელმაც განიხილა განაცხადი კვლევის შესახებ.

11. დამატებითი ინფორმაცია

თუკი გჭირდებათ დამატებითი ინფორმაცია, გაქვთ შეკითხვები, ან გსურთ თქვენი მონაცემების ამოღება კვლევიდან, გთხოვთ, დაუკავშირდეთ:

მიუთითეთ თქვენი მონაცემები (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი და საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის მისამართი)

მიუთითეთ კვლევის ხელმძღვანელის/კოორდინატორის/სამუშაო ჯგუფის წევრის დეტალები (სახელი, გვარი, მისამართი, სამსახურის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი)

გმადლობთ, რომ თანახმა ხართ, მონაწილეობა მიიღოთ ამ კვლევაში. თქვენ (მონაწილემ) უნდა შეინახოთ წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი (თანხმობის ფურცელთან ერთად), რადგან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას და კვლევითი ჯგუფის საკონტაქტო მონაცემებს.

დანართი 1.3

 აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თანხმობის ფორმა

კვლევის დასახელება:

თუკი თანახმა ხართ, მონაწილეობა მიიღოთ ამ კვლევაში, გთხოვთ, შეავსოთ თანხმობის ფორმა და გაუგზავნოთ [მკვლევრის სახელი და გვარი] ელექტრონული ფოსტით შემდეგ

მისამართზე: [მკვლევრის ელ. ფოსტა. - აღნიშნული განყოფილება ივსება იმ შემთხვევაში, როდესაც უშუალო კონტაქტი კვლევის მონაწილესთან შეუძლებელია]

- წავიკითხე და გავიაზრე კვლევის საინფორმაციო ფურცელი:

  დიახ ☐ არა ☐

- მქონდა შესაძლებლობა, დამეზუსტებინა ნებისმიერი ჩემთვის საინტერესო საკითხი:

  დიახ ☐ არა ☐

- თანახმა ვარ ჩემი ინტერვიუს აუდიო/ვიდეო ჩაწერაზე.

  დიახ ☐ არა ☐

- გააზრებული მაქვს, რომ თუკი ჩემი სიტყვები გამოყენებული იქნება ანგარიშში ან პრეზენტაციაში, მათი მეშვეობით ვერ მოხდება ჩემი იდენტიფიცირება.

  დიახ ☐ არა ☐

- მესმის, რომ შემიძლია კვლევის დატოვება ნებისმიერ დროს, მიზეზის მითითების გარეშე, და რომ თუ ამის გავაკეთებ კვლევის განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში, ჩემ მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ იქნება დამუშავებული.

  დიახ ☐ არა ☐

- მესმის, რომ კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება კვლევაში, სამეცნიერო პუბლიკაციებსა და/ან პრეზენტაციებში.

  დიახ ☐ არა ☐

- ვეთანხმები ჩემ მიერ მოწოდებული მონაცემების დაარქივებას შენახვას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში განსაზღვრული ვადით [მიუთითეთ მონაცემების შენახვის ვადა და ფორმატი: ქაღალდი/ელექტრონული]

თუკი კვლევა რაიმე სახით პრობლემურად მიგაჩნიათ, დაუკავშირდით [მიუთითეთ კვლევის ხელმძღვანელი/კოორდინატორი/სამუშაო ჯგუფის წევრი/უფლებამოსილი პირი - მაგ., დეპარტამენტის ხელმძღვანელი, დეკანი და ა.შ.]

გთხოვთ, მოაწეროთ ხელი:

სახელი, გვარი _____

ხელმოწერა _____

თარიღი _____

დანართი 1.4

არასრულწლოვანი პირის თანხმობის ფორმა

ნაწილი 1. არასრულწლოვანი პირი და მშობელი / მეურვე

ივსება არასრულწლოვანი პირის მიერ

1. კვლევა ჩემთვის განმარტა .... (სახელი)

2. მკითხეს, მაქვს თუ არა რაიმე კითხვა და ყველა ჩემს კითხვას უპასუხეს, ასე რომ, წარმოდგენა მაქვს კვლევის და იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედებს ის ჩემზე.

3. ვიცი, რომ არ ვარ ვალდებული, მივიღო მონაწილეობა კვლევაში და ნებისმიერ დროს შემიძლია, შევწყვიტო მონაწილეობა მიზეზის მითითების გარეშე.

4. თანახმა ვარ, მონაწილეობა მივიღო კვლევაში ..... (ჩაწერეთ შესაბამისი ინფორმაცია)

სახელი: თარიღი:

ხელმოწერა: ასაკი:

ნაწილი 2. ივსება მშობლის/მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ

1. ვადასტურებ, რომ გავეცანი ინფორმაციას კვლევის შესახებ. მქონდა შესაძლებლობა, განმეხილა ინფორმაცია, დამესვა შეკითხვები და მიმეღო მათზე დამაკმაყოფილებელი პასუხები.

2. მესმის, რომ ჩემი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის მონაწილეობა ნებაყოფლობითია და მას თავისუფლად შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს კვლევაში მონაწილეობა ყოველგვარი მიზეზის მითითების, ასევე, მისი სამედიცინო მომსახურებაზე ან კანონიერ უფლებებზე რაიმე ზემოქმედების გარეშე.

3. (ივსება საჭიროების შემთხვევაში) გააზრებული მაქვს, რომ ჩემი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის სამედიცინო დოკუმენტაციის შესაბამის მონაკვეთებს და კვლევის დროს შეგროვებულ მონაცემებს შეიძლება გაეცნონ კვლევასთან დაკავშირებული პირები უნივერსიტეტიდან. ვაძლევ უფლებას ამ პირებს, ჰქონდეთ ამ მონაცემებზე წვდომა.

4. (ივსება საჭიროების შემთხვევაში) გააზრებული მაქვს, რომ ჩემი მეურვეობის ქვეშ მყოფი პირის შესახებ შეგროვებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება სხვა კვლევებისთვის და შესაძლოა, გადაეცეს სხვა მკვლევრებს. ამასთან, მონაცემები ანონიმური ან ფსევდოანინიმური იქნება.

5. ვეთანხმები, რომ ჩემმა მეურვეობის ქვეშ მყოფმა მიიღოს კვლევაში ..... (მიუთითეთ დეტალები)

ნაწილი 3.

დამატებითი ინფორმაცია კვლევის შესახებ მოცემულია მონაწილეთა საინფორმაციო ფურცელში ახალგაზრდებისთვის და მშობლებისთვის / მეურვეებისთვის.

თანხმობის განმცხადებელი პირის სახელი, გვარი:
თარიღი:
ხელმოწერა:

1 ასლი მონაწილისთვის, 1 ასლი მკვლევარისთვის

შენიშვნები:

1. იურიდიული მოთხოვნაა, რომ არასრულწლოვანთან მუშაობა განხორციელდეს მშობლის ან კანონიერი მეურვის თანხმობით. თუ ახალგაზრდა 18 წლამდეა, მაგრამ შეუძლია გაიგოს, რას ითხოვენ მისგან, მაშინ მიღებული უნდა იქნეს როგორც მისი, ასევე, მშობლის/მეურვის თანხმობა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ფორმა თანხმობის შესახებ ორი განყოფილებისგან შედგება.
2. ინფორმირებული თანხმობის საფუძველი უნდა შექმნას კვლევის თვალსაჩინო აღწერამ. აღწერის დროს ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული ტრანსკრიპტების წარმოებისა და სხვა მომავალში სხვა მკვლევრებისთვის მონაცემების გაზიარების საკითხების შესახებ.

3. გავრცელებული პრაქტიკაა ცალკეული საინფორმაციო ფურცლების გამოყენება პროექტის შესახებ ინფორმაციის მისაცემად და თანხმობის მისაღებად. ზოგადად, ინფორმაცია კვლევის შესახებ ხელმოწერილ თანხმობის ფორმასთან ერთად უნდა ინახებოდეს.

გახსოვდეთ, ანონიმური კითხვარისთვის ხელმოწერილი თანხმობის ფორმა არ არის საჭირო. ამის ნაცვლად, კითხვარში რეკომენდირებულია შემდეგი განცხადების შეტანა: „ამ კითხვარის შევსება ნიშნავს თანხმობას.“

EAST
EUROPEAN
UNIVERSITY

აღმოსავლეთ
ევროპის
უნივერსიტეტი

კონტაქტი:

ი.ენუქიძის ქ. 6

032 2 48 01 41

www.eeu.edu.ge